



ამ საქმის შესრულება. უეჭველია ბუნებრივი ქირა, ხელფასი შრომის დასაჯილდოებლათ არის ის, რაც ამ შრომას შეუქმნია, გაუკეთებია. პირვანდელ საზოგადოებაში სწორეთ ასეც იყო, რასაც გააკეთებდა ადამიანი თავის შრომით—მისი იყო, თითოეულის ნაწარმოები იყო მისივე შრომის ხელფასი; მხოლოდ ამნაირი მდგომარეობა ხანგრძლივი როდი იყო. როგორც კი კერძო საკუთრება გაჩნდა, ადამიანთა შორის დამოკიდებულება გამოიქცალა, შრომით და ოფლით გაკეთებული ნივთი აღარ შეადგენს აწ ადამიანის შრომის ხელფასს.

ახლა ამ ნივთის რამდენიმე ნაწილი საკუთრების მქონეს, მასალის და იარაღის პატრონს მიაქვს, მუშას კი მხოლოდ მცირე ნაწილი და რჩება. ყოველ წარმოებაში არის საჭირო მასალა და იარაღი, რომელიც მუშას არ გააჩნია; ამ უკანასკნელს კაპიტალისტი აძლევს საჭირო მასალას, სამუშაო იარაღს, აძლევს წინ და წინ ქირას და ამნაირათ ინახავს იმას მანამ, სანამ სამუშაო გათავდებოდეს. რასაკვირველია სმიტის ყველა შეცდომები, რომლითაც მდიდარია მისი თხზულება, გამოწვეულია იმ კითხვის გამოურკვეველობით, რომელიც საფუძველია ყველა ეკონომიური კითხვებისა. ღირებულების ნამდვილი წყარო, შრომა მან უკუ ადგო და მას სხვა შემადგენელი ელემენტები დაურთო; რალა გასაკვირველია, რომ ამ ღირებულებაზე აწინებულები და მით გამოწვეული მრავალი კითხვები მისთვის ბუნდოვანი იყო და ჩვენც ვერ გამოვგვირკვია. ახლა კარგათ ვიცით რომ მუშას კაპიტალისტი ქირას წინ და წინ არაოდეს არ აძლევს, ეს მხოლოდ მოჩვენებაა, ოცნება, ნამდვილათ კი წინააღმდეგი ხდება. უკანასკნელი სესხულობს პირველისაგან, მუშის ვალი ყოველთვის კაპიტალისტს აქვს; ეს ხშირათ გამოაშკარავდება ხოლმე როცა სულთამხუთავე მექარხნე მშრომელს ქარხნიდან დაითხოვს და შრომის ხელფასს არ აძლევს. ადამიანს მთელი კვირა ანუ თვე უმუშაენია, თუმცა მთელი საქონელი არ შეუქმნია, საქმე მთლათ არ დაუსრულებია, მხოლოდ ნაწილი მანაც გაუკეთებია. ისიც ნაწილს თხოულობს ნაწილისთვის და ამასაც ვერ ღებულობს. მაშ ვის ვისი ფული ჰქონებია, ვის ვისი მართებია? მშრომელს თუ ამ შრომის დამსაკუთრებელს? ადამ სმიტი საზოგადოთ მშრომელ ელემენტის მომხრეთ ითვლება, თვითონაც ასე მოაქვს თავი და ხშირათ მართლაც ბევრ შეგნეირ აზრსაც გამოთქვამს ხოლმე. მხოლოდ ნამდვილათ კი იგი თავის და შეუქმნეულათ შეძლებულთა იდეების დამცველი, გამომთქმელია. მას სამუშაო ღლე მუდმივ უცვლელ რამეთ მიუჩნე-ვია, მხოლოდ სინამდვილე კი სულ სხვას გვასწავლის. ისტორიის სხვა და სხვა ხანა, სხვა და სხვა

ადგილი ნაირ-ნაირ ფაქტებს იძლევა მუშათა ცხოვრებიდან და არა იმ ხუთი მიზეზისაკან, რომელიც სმიტს აქვს ჩამოთვლილი. ხელფასი დამოკიდებუ-ლია შრომის, უმეტესათ თვით მშრომელთა თვით ცნობიერებაზე, განისაზღვრება იმით თუ რამდენათ მტკიცეთ იცვენ თავის „მეს“ მაგრამ ეს მუდმივობა და უცვლელობა საზოგადო ცხოვრების თანამედროვე წესწყობილების მისი მაცოცხლებელი აზრია. არსებული პირობები სმიტის აზრით, თავის პრინცი-პით სწორეთ უმაღლეს კულტურას შეეფერება, მხოლოდ ცოტა შალაშინი უნდა გაეკრას ცხოვრებას აქა იქ და უსწორ-მასწორობაც მოისპობა და ყვე-ლანი ბედნიერი და კმაყოფილნი იქნებიან. ადამ სმიტისთვის სრულიად გაუგებარი იყო ის ჭეშმარი-ტება, რაც მხოლოდ ერთათ ერთი აბსოლიუტური ჭეშმარიტებაა, ეს ის რომ ყველაფერი იცვლება, არაფერი მუდმივი, გარდაუვალი არ არის.

აღ. წულუკიძე.

სხვა-და-სხვა ამბავი.

უანაგან საქმეთა მინისტრმა დაადგინა: გამოეცხადოს ვახეთ „СѢВ. Куп.“-ს პირველი გაფრთხილება.

ამიერ კავკასიის რკინის გზის სადგურ ნატანგბთან მომხდარ უბედურების (მატარებლის № 162 დამსხვრევა) დროს წერილმანი საქონლის უმეტესი ნაწილი გადარჩენილა. დაკარგული აღმოჩნდა 300 ფუთამდე შაქარი, ფეხ-საცმელები, პაპიროსის გილ-ზები, 1 ფუთამდე ალბომები, 100 ფუთი კანფეტი 70 ფუთი მანუფაქტურის საქონელი, 25 ფუთი სუ-ნენლოვანი საქონელი, 10 ფუთი კლიტეები და 2 გრდემლი. თუ მხედველობაში მივადებთ, რომ რკინის კლიტეები და გრდემლი არა გზით არ დაიღუ-პებოდა, არამეთ უეჭველათ მოპარულია, მაშინ ცხა-დია, რომ საქონლის უმეტეს ნაწილს ასეთივე ბედი ეწია.

წრეტლს დასავლეთ საქართველოში საღირექ-ციო სკოლების მასწავლებლებს „Русское Слово“ შეაქეთ რუსული ენის სახელმძღვანელოთ. ამავე „P. C.“-მ გზა გაიკვლია განჯის გუბერნიაშიაც სომხების სკოლაში. ჩრდილო-კავკასიაშიაც ესწნება გზა ამ სახელმძღვანელოს; თერგის ოლქის დირექტორს ბ. გრუშევსკის მოუწონებია „P. C.“ და სურს გა-ერცელოს იგი თავის დირექციაში.

ქუთაისიდან „ტფ. ფ.“-ს ატყობინებენ, რომ რუსეთ ბელგიის საზოგადოებას, რომელსაც ტყობუ-

ლის ქვა-ნახშირის მადნები ეკუთვნის, ამ ქვამათ მო-
ლაპარაკება აქვს საფრანგეთის ერთ ამხანაგობასთან
ამ მადნების შეყიდვისა და წარმოების შესახებ.

ქ. მოსკოვში ამ დღეებში გადაიკვალა ქ. მედ-
ვენნიკოვისა, რომელმაც დატოვა სხვა და სხვა სა-
ქველ მოქმედო საქმეებისათვის, ხუთიმილიონი მანეთი.

რედაქციამ მიიღო ბ. ჯანაშვილის წიგნი „Гру-
зинскія обители внѣ грузіи“. წიგნი სუფთათაა
გამოცემული და ღირს 25 კ.

რედაქციამ მიიღო აკრეფე ზ. ჭიჭინაძის ორი
გამოცემა—„Письма о Грузіи“ Л. С. Исарлова და
„თამარ მეფე“; ეს უკანასკნელი მეორე, შეესებულ
გამოცემა ღ ღირს ორ შაურათ, პირველი კი — 80 კ.

აკვალის“ კორესპონდენცია.

ქ. ქუთაისა. ვინ ჩამოთვლის, რას არ გვპირდება
ჩვენი მუნიციპალიტეტი! თუ მას ვერწმუნეთ, სულ
ახლო მომავალში გვექნება ელექტრონის რკინის
გზა, წყლის გამომყვანი მიწები და მრავალი კიდევ
სხვა. კეთილი და პატიოსანი. ესენი ყველა საქმეა
და კიდევ მეტი, მაგრამ, მაგარი ის არის, რომ ყველა
ამაგებით ჩვენ, ქუთაისის მკვიდრთ, გვიმასპინძლებიან
სწორეთ მაშინ, როდესაც დღე დღეობით, სულ სხვა
რამეს ვსაჭიროებთ, უფრო ხელ-მისაწდომ და აუცი-
ლებელს: ავილოთ, მაგ. ჩვენი ქუჩები. თუ ცოტა
წამოწვიმა, აქ გავლაც კი არ შეიძლება, მუხლამდე
ლაფში უნდა იაროთ, ამას კიდევ ჯანი გავარდეს,
რომ ზოგიერთ ქუჩებზე გავლა სულ შეუძლებელი
არ იყოს. წვიმის დროს ისეთი ნაკადულები დაიწყებს
დენას, რომ პატარა ნაე-ტიკები თამამათ ამუშავდება.
ავილოთ თუნდ ბალახვანი და ამ უკანასკნელზე გამომა-
ვალი ქუჩები. ისეთი წყალი დადგება, რომ რამოდე-
ნამე საათობით ძისელა-მოსელა შეუძლებელი ხდება
ხალმე; ამას ზედ დაურთეთ ის გაჭირება და შიში,
რომელიც მგზავრმა უნდა განიცადოს ბეწვის ხილზე
გაელის დროს; ბეწვის ხილი მარტო საიქიოს კუთვ
ნილება გვეგონა და, თურმე ნუ იტყვი, საქაოსაც
ყოფილა: აი სოსიკო სანიკიძის სახლთან გზა ისე
ვიწროა, რომ არა გვეგონია სიგანით ნახევარ ადლზე
მეტი იყოს. ამ გზის მეორე მხრით ხრამია, ბეწვის
ხილიდან არა ერთხელ და ორჯელ გადაჩეხილან ამ
ხრამში. მერე ეს სად ხდება? არა სადღაც სენეთის
მიუვალ მთებში არამედ საგუბერნიო ქალაქ ქუთაის-
ში! სწორეთ სარცხეილია, სხვა რომ არა ვთქვით რა.
სანიტარული მხრითაც ჯერ კიდევ ბევრი სანატრელი

და სასურველი დაგვრჩენია. ზოგიერთ ქუჩებზე და-
ვზოებში დიდი უსუფთაობაა; მაგალითისათვის ზო-
რს არ წავალოთ, ავილოთ ურების უბანი და ისევე
წვენი ბალახვანი და მისი ქუჩები, სადაც უმეტეს ნა-
წილათ მეეტლები ცხოვრობენ. ზოგიერთი მათგანი
ისე ავირ-წახსნილია, რომ გამოიტანს თავის დროს
ან ეტლსა და ზედ ქუჩაზე რეცხს და ასუფთავებს.
ამას ზედ დაურთეთ ათასგვარი ნაკავი, რომელსაც
ისინი ქუჩებზე ეზიდებიან და მაშინ ადგილი წარმო-
სადგენი იქნება, თუ რა სასიამოვნოა აქ გავლა.

ალეი-წახსნილობითა და თავკასულობით ყვე-
ლაზე უფრო შესანიშნავია მეეტლე კ—ბაქი. ახლა
ვთქვით ორიოდ სიტყვა ჩვენი ქალაქის განათებაზე:

აქ ღამ ღამობით არე-მარე მოცულია ჯოჯო-
ხეთური სიბნელით; ფარნები მთელი ვერსის მანძი-
ლზეა ერთი-მეორეზე დაშორებული, და რაც არის
ისიც საცოდავთ ბეჭუტავს არა ქუჩებზე, არამედ
ვზოებში, თურმე ნუ იტყვათ მცხოვრებლებს ფარ-
ნები დაუთხრიათ ქუჩებზე, და თავ-თავიანთ ბინაზე
გადაუტანიათ!

ყველა ამაზე ჩვენი თვითმმართველობა თავსაც
არ იტყენს, ეს ხომ წერილმანი საქმეა და მას ხომ
ამაგებისთვის არ ცალია, ის უფრო მსხვილ-მსხვილ
საქმეებშია გართული! თუ შეიკრიბებიან ჩვენი დამ-
ტირებელნი, ეს მხოლოდ იმისთვის, რომ ილაპარა-
კონ და თავი შეიქციონ. აქა იქ „რჩებსაც“ იტყვიან
ხალმე. ოხ, ეს „რჩები“, „რჩები“! იმის მაგიერ,
რომ მკვიდრთა უპირველესი მოთხოვნილებანი დაკ-
მაყოფილონ, ისინი მთელ თვეებსა და წელიწადებს
ანდოებენ ელექტრონის რკინის გზის და წყლის
გაყვანის პროექტებს. ვინ იტყვის, რომ ყველა ეს
საჭირო არ იყოს, მაგრამ, თქვე დალოცვილებო,
ჩვენ, მშიერებს, ჯერ პური მოგვაწოდეთ, პური.

კახანაურელი.

გ ა კ ვ რ ი თ.



Соездка, перестань сражаться!

კრილოვი.


მესამე დასის გაჩენამ ჩვენში ბევრს ჩაუსახა გულ-
ში ნალეული, ბევრი გააბრაზა, ბევრი შეატრიალ-შე-
მოატრიალა თავის საბრძანებლო სკამზე, ბევრს
წამოაძახინა: დავიღუბეთ! ბურჯებს ბურჯებათ
არ ცნობენ, წინანდებულათ არაინ გვიჯერებს,
კრიტიკული თვლით გვიცქერიან! რას მოვესწარით
ამასო!.. კრიტიკას მოკლებულმა საზოგადოებამ მოჰ-
კადა ხელი მას, რაც ჰქონდა, რასაც მას აწვდიდნ გონე-
ბის საზრდოთ; ის შეეჩია კითხვას, გაჩნდნ ვითომ და
კრიტიკოსები, კრიტიკოსები ქება-დიდებისა, ყოველი

ნაკლის წინ თვალზე ხელის მიმფარებელი, ყოველ კარზე ხმა-მალა მყვირალნი. მათ ცაში აიყვანეს „პოლონის“ შეილები, პარნასზე ოქროს ტახტი დაუდგეს, აქეთ იქით ქებათა-ქების მაგლობლები ამოუყვანეს და თითონ მოწიწებით შორიახლოდან, გულზე ხელ-დაკრეფით, თაყვანი სცეს. ოქროს ტახტზე მჯდომთ საქართველოს მნათობლებმაც შეიფერეს ეს მათი პატივისცემა, ბატონური სახე მიიღეს და ყოველგან და ყველასაგან მორჩილობა და მონობა მოითხოვეს და ვაი მას, ვინც მათი ურჩა, მათგან ანგარიშის მომთხოვი, მათზე კრიტიკული თვლით მაცქრალი გამოდგებოდა, მას ყოველთვის და ყოველგან წყევა-კრულვა ხედებოდა წინ, არ შეეძლო სადმე ფეხის მოკადება, მას ყოველგან დევნიდნენ, ყოველგან აშეებდნენ, მისთვის ყველა გაზეთების ფურცლები დახურული იყო, და მანამ დევნიდნენ ისე, სანამ ყოველივე იმედს გულში არ ჩაუკლავდნენ, სანამ არ „მოიშორებდნენ თავიდან“, სანამ არ გააქრობდნენ. ამგვარი ბედა ეწვია თ. ი. მ. ჩაბელს და განა პარტო მაჩაბელს? ვინ იცის რამდენს ჩაუკლეს გულში იმედი, სასოება! ვინ იცის რამდენი დევნეს სიმართლისთვის! (მოვიგონოთ ყაფიანისა და მასწავლებლების საქმე). და აი, ამგვარ ბატონ მონობის დროს გაისმა ხმა, ხმა მამხილებელი ბატონთა „არა საკადრის“ საქციელისა, ხმა ძველი, მოდუნებული ცხოვრების აბარგებისა და ახალ ხანაში გადასვლისა. ეს, რასაკვირველია, გულზე ისარივით მოხვდათ ბატონ პატრონობას შეჩვეულ ოლიმპიელებს და მათ ყურ მოჭრილ ქება-დიდებათა მაგლობლებს. მორთეს ჩხაილი-კივილი და ამ ხმას აჰყვენ წინანდელი მათი გუნდრუკის მკმეველნი. მაკრათ ხელ-მოსაკიდებელი, მოპირდაპირეს საბუთით დამამარცხებელი ვერაფერი ჰპოვეს და ამით უფრო გაბრაზებულთ, უფრო გულზე ცეცხლ მოდებულთ დარჩათ მხოლოდ ერთი იარაღი — იარაღი ლანძღვა-განებისა და კიდევაც მიმართეს მას, აცობენ წერილს წერალზე, მთელ ფელეტონებს აესებენ, ხმაურობენ, ყვირიან, მარა რომ ჩახედო მათ წერილებში, გარდა ცარიელ მრავალ-სიტყვაობისა, იქ ვერაფერს ნახავ და უნებლიეთ კათხვას მისცემ შენ თავს, ნუ თუ ამ ხალხს სირცხვილის გრძნობა მოესპო! ნუ თუ არ ებრალებათ მკითხველი საზოგადოება, რომ ასე აბუჩათ აუგდიათ და ლანძღვა თრეფითა და კბილთა ღრქენით უმასპინძლებიან! მარა ვადავიდეთ ამ ახალ მწერალთა (!) ნაწერებზე.

ბ-ნი „ვარ“, ე. ი. ბ-ნი იპ. ვართაგავა, დიდხანს არ ფრის, რაც სამწერლო ასპარეზზე გამობრძანდა „ივერიის“ მეოხებით. მისი სამწერლო მიზანია: გაქრობა (!) გაზეთ „კვალისა“ და მის თანამშრო-

მელის, ბ-ნი ნ. ჟორდანიასი. როგორც ხედავთ, მიზანი კაი მოზრდილია, მარა შეძლებს ამას ბ-ნი ვართაგავა თუ არა, ასას მისი წერილები გვეუბნება. ბ-ნი ვართაგავას ერთი წლის სამწერლო ასპარეზზე მოღვაწეობის დროს რაც უწერია, ყველა ნ. ჟორდანიას წინააღმდეგ უწერია. ცხადია ნ. ჟორდანიას სიტყვები ლახვარავით ესობა გულში „ივერიის“ მრავალ-მოსიტყვავეს და რა გასამტყუნარია, რომ სულ ნ. ჟორდანიასზე წერდეს, — მელისს რაც აკონდებოდა ის ესიზმრებოდა — ნათქვამია. ბ-ნი ვართაგავას პარველი წერილი, როგორც ის ამ თავს მეოთხე წერ ილში ამბობს, ნ. ჟორდანიას, როგორც პუბლიცისტის, ზნეობრივ ფიზიონომიას შეეხებოდა. მარა ერთი ვიკითხოთ: შესაძლებელია მწერლის ზნეობრივი ფიზიონომიის დასურათება ზისი ნაწერების გაურჩევლათ? შესაძლებელია მწერალს დაუმტკიცოს ვინმემ „ყოყოჩობა — რიხიანობა — ამპარტაენობა — (!) ფანტიკოსობა“ ზისი ნაწერებს გვერდ-ავლით? რასაკვირველია, არა. ეს ბ-ნი ვართაგავამაც კარგათ იცის უთუოთ, მარა რა ჰქნას, როცა გარჩევის და ნაწერის საბუთებით აწონ-დაწონვა არ ძალუძს. ჩვენ არ გვაქვს ხელთ ვართაგავას პარველი წერილი, წინ გვიდევს მხოლოდ მეოთხე სამ ფელეტონიანი წერილი შემდეგი რიხიანი სათაურით: „ბ-ნი ნოე ჟორდანიასი და მისთა ძმათა რეალური მამულიშვილობა“ („კვალის“ ორი მეთაური წერილის: „რომანტიზმი“ და „ჩვენი მწერლობის წერილმანების“ გამო). როგორც სათაური და ფრჩხილებში მოყვანილი წერილების სახელები ამტკიცებს, ბ. ვართაგავას მოუსურვებია „რომანტიზმისა“ და „ჩვენი მწერლობის წერილმანები“-ს გარჩევით დამტკიცებია ბ-ნი ნ. ჟორდანიასი და სხვა „კვალის“ თანამშრომელთა არა რეალური მამულიშვილობა. მერე შეასრულა მან ეს მისი სურვილი? ამას ქვემოთ დავინახავთ და მანამ ვიტყვი, რომ სათაურები მართლა რომ რიხიანი იცის ვართაგავამ, მარა ეს მისი სათაურები იმდენათ არ ეკარება სათაურების ქვეშ მის წერილებს, რამდენათაც ვართაგავას ავტორიტეტის, რიხოს, ნაწარმოებს არ მიეკარება „ყარამანჩანის“ დარქმევა.

ვართაგავას წერილის შესაჯალში ეს აზრი გამადის: ყველას თავისთავი კარგი ჰკონია, სხვა კი — ცუდიო. მაგაზე რა მოგახსენოთ, ბ-ნი ვართაგავა! თქვენ თუ აქვენი თავი დარეინის თავზე უფრო დიდ თავთ მოგაქვთ, მე მკონია, ცოტა ცდებით! რამდენიც უნდა იყვიროთ — მე ვჯობივარ დარეინსო, არავინ არ დაგიჯერებსო. სასაცილოა აგრეთვე მკითხველებთან ნ. ჟორდანიას ვაცნობა. „ნ. ჟორდანიას-ხომ ვაკვიგონია, მკითხველო, ეს გვარი? თუ არ ვაკვიგონიათ, ნება მიბოძეთ ვაგაცნოთ“ ვესმით? ნ. ჟორდანიას ვართაგავა აცნობს საზოგადოებას! მერე



როგორ აცნობს? „ეს ქართველების მარქსია, ლას-სალია; ეს ის მოღვაწეა, რომელიც საქმეზე, ჩვენი ქვეყნის ჰირ-ვარამზე ლაპარაკობს, უნდა ახალი ცხოვრება დაამყაროს. ეს ის არის, რომელიც საქმეს სიტყვაზე წინ აყენებს, მამულის განახლებას საქმით ცდილობს და არა სიტყვით, მამულის სიყვარული რეალურ პირობებზე სურს აავიწყდეს და სხ“, ეს ბ-ნ ვართაგავას „რომანტიზმიდან“ ამოუწერია, მარა როგორ? ისე, რასაკვირველია, როგორც მას მოუხდებოდა. მარა ამას თავი დაეანებოთ. ახლა ვკითხვით ერთი ბ-ნ ვართაგავას: გასაკიცხია ის, ვინც ჩვენი ცხოვრების ჰირ-ვარამზე ლაპარაკობს? გასაკიცხია ის, ვინც საქმეს სიტყვაზე წინ აყენებს? ვისაც სურს მამულის სიყვარული ნამდვილ რეალურ პირობებზე აავიწყდეს?


ბ-ნ ვართაგავას ერთი ახირებული ვართაგავისებური დასკვნა გამოუყენებია თავისი მეცნიერული თავის დახმარებით: ვინც „კვალში“ თანამშრობლობს, ყველა ნ. ჟორდანიას დაქირავებული კლაკიორებია. მარა ნურც ამას გაუმტყუნებთ ბ-ნ ვართაგავას, ნურც სამაგიეროს ვეტყვი, რომ „თქვენ „ივერიის“ რედაქციის კლაკიორი ხართო“ რა ჰქნას! ის ხომ ამას ბ.ბ. ნ. ელიაშვილს და ს. გ—ძეს ამბობს და ელიაშვილს და ს. გ—ძის ისარიც ხომ ჩაერთო აღშფოთებულსა გულსა ვართაგავისასა. ს. გ—ძე არ იყო ის, რომ ბ-ნ ვართაგავას დონკიხოტური ამხედრება „კვალის“ წინააღმდეგ ვართაგავას კერძო ინტერესებით ახსნა? ამას როგორ დაივიწყებს ბ-ნი იპოლიტი! ამით გაჯავრებული ს. გ—ძეს კლაკიორს უწოდებს და ის კი განგებ ვადიფიწყა, რასაც მას ს. გ—ძე აბრალებდა. რატომ არ ამოიღო ამაზე ხმა? რა ჰქნას, ბატონებო, „როგორც ერთი ყველათაგანი, ის ხომ არ იტყვის: ცუდი კაცი ვარო!“

„რომანტიზმიდან“, რომ მკითხველისთვის დაენახებინა „ნ. ჟორდანიას არა რეალური მამული-შვილობა“, ამოწერა სტატიიდან თითქმის მთელი წერილი და იმას მაგიერათ, რომ ეს ამონაწერი გაერჩია (თუ კი ძალა შესწევდა) და იმ გარჩევის თანხმად, შესაფერი დასკვნა გამოეყენა, ბ-ნმა ვართაგავამ ასეთი მრავალ-აზრიანი სიტყვები მიუწერა ამონაწერს: „აი როგორ ფილოსოფოსობს და მჭერ მეტყველობს ბ-ნი ჟორდანი! მან პესნიმისტური მოთქმა გოდებდნენ დაიწყო, მერე შაბლონურ—რეზონი-ორობა—ქადაგებაზე გადავიდა და ბოლოს კი ვერ იქნა, ვერ აცილდა თავისებურ—ყოყოჩობა—ტრა-ბახობას და რიხიან გაკიცხებით გაათავა“. აი, ბატონო, გარჩევა! ასე რომ თუ ვართაგავისებური პუბლიცისტობა დაქირდეს ვინმე „ივერიელს“, ადლოს რა ნაწარმოებიც უნდა შეხედეს, თუ გინდ მარქსის „კა-

პიტალი“, გადმოწეროს მთელი ნაწარმოები და ბოლოს შემდეგი სიტყვები მიაწეროს: ფუ! შეხეთ რა დაუწერია! ერთ გროშათაც არ ღირს შაბლონურ-რეზონიორული ქადაგება! ყოყოჩობა-ტრაბახობა-ფანატიკოსობა! და... გათავდა. ამით თქვენ წესი აუგეთ მარქსს! აი, ვართაგავას კრიტიკაც ამ გვარია. ან კი რა ექნა! მან ხომ მთელი თავისი ძალ-ღონე იხმარა რომანტიზმის გარჩევისთვის, მარა ვერ შეძლო ეს, თუმცა „მიმუხსა და სარკესაც“ კი მიმართა! „ყოყოჩობა-რიხიანობა—შაბლონური-რე-ზონიორობა-ფანატიკოსობა“ ხომ ყველა სეტყში ამო-ჩხირა; მას მაინც არაფერი გამოუვიდა და იგრძნო-რა მაინც ეს, იგრძნო რა რომ მკითხველს ვერ დაა-ნახვა ის, რის დაწახვებაც მას სურდა, ამგვარი სიტყვებით მიმართა: „მკითხველნო, თქვენ თქვით სინი-დისის ქვეშ: გამოიჩინა თუ არა ბ-ნმა ჟორდანიამ საღმე საქმის ძირიანათ გადამინჯვა, კითხვების გარ-ჩევა, მიუდგომელი მსჯავრის დადება, ისე როგორც თითონ თხოულობსო.“ („ივერია“ № 253). მოდი და ნუ გაგეცინება.

კრიტიკოსი (?) მკითხველს ეკითხება: თუ ძმა ხარ მითხარი: ეს წერილი კარგია თუ ავიაო?! სერიო!.. ბ-ნო ვართაგავა! რაღა მკითხველს აწუხებ, აკი თქვენ აცნობდით საზოგადოებას ნოე ჟორდანიას! აკი თქვენ ეუბნებოდით მკითხველებს „იცი, მკითხველო, ჟორდანიას ვინ არის? თუ არ იცი მე გაგაცნობო“. საკვირველ არიან საქმენი შენნი, უფალო ვართაგავა! მერე თითონ რო ვერა მოაგვარა რა, თანამოდმე „ფხას“ წაატანა ხელი და გადმოიძახა: ამ კაცს რატომ გაექციით? თუ არ უპასუხეთ--ეს ხომ გაქცევიაო. როგორ გვონიათ, ბ-ნო ვართაგავა: თქვენ რომ თქვენ „მეცნიერულ“ წერილზე პასუხი არ გაღირსონ, ეს გაქცევას ნიშნავს?! საღ არის მოცლა, შე კაი კაცო, რამდენი აბდა-უბდაა, ყველას პასუხი მისცენ. დამერწმუნეთ, რომ ის კრიტიკოსი, რომელიც მკითხველს ემუდარება: სინიდისის ქვეშ მითხარი—ეს მწერალი კარგი მწერალია, თუ არაო, გაზეთის ქვემო ეტაჟაში კი არა, განცხადებებშიც მოსახსენებელი არ არის.

ვართაგავას ერთი რაღაც კიდევ მოჩვენებია. ეს ის, რომ ვითომ ნ. ჟორდანიას გრძნობებს უარს ჰყოფდეს! ვინ მოგახსენა, ბ-ნო ვარო, ეს? ნ. ჟორდანიას ამბობდა: „ჩვენებური მამული-შვილობა მარტო გრძნობაზე, სიმპატია-ანტიპატიაზე არის აგებული და არა საქმის ცოდნაზე და კრიტიკულ აწონ-დაწონაზეო“ (იხ. „კვალი“ № 25-99 წ.) მარტო გრძნობაზე აგებული საქმე თქვენთვის დაგვი-ლოცნია, თუ გრძნობას გონების და წინ-დახედულობის არაფერი ახლავს, მახლას მაგისტანა გრძნობა!



აი, ამგვარია ბ-ნ ვართაგაეას მიერ „რომანტიზმის“ გარჩევა. ბ-ნ ნ. ელიაეას სტატია ამგვართ გააჩნია ბ-ნმა ვართაგაეამ: „ელიაეამ რადგან ჩვენი მწერლობის წერილობების“ შესახებ დასწერა, აქედგან ის წერილმანი მწერალიაო, ის ნოე ყორდანიას შინაყმაო, ვაშა, ვართაგაეა, bis! ყორდანიას თუ ვერა, ელიაეას ხომ მაინც ტყავი გააძრო. *состѣдѣ, перестань сражаться!*..

დასასრულ ბოდიშს ვიხდით მკითხველთან, რომ ასეთი ფელეტონების, როგორც ვართაგაეას ფელეტონებია, დაუასებას შეეუღდექით.. მარა რას იზამთ, ბატონებო, ზოგჯერ თქმა სჯობს უთქმელობას, ზოგჯერ თქმითაც დაშვდების.

ბ. გოგოლაძე.

ს ა შ ღ გ ა რ - გ ა რ ე თ

ინგლის-ტრანსპაალი. როგორც ამ ბოლო დროს გამოიჩევა, ღენერალ მეტუენის გამარჯეება ბელმონტთან და მდინარე მოდერთან ვერ იყო თურმე ისეთი ბრწყინვალე, როგორათაც თვით ღენერალის ტელეგრამაში იყო მოხსენებული. მდინარე მოდერთან ბრძოლაში, მაგალითათ, ღენერალ მეტუენმა დაჰკარგა 1800 კაცი, ბურებმა კი—400. ამ გვარი გამარჯეებით არა გვეგონია შორს წაეიდეს ინგლისი. მაგიერში სტრომბერგთან მომხდარ ბრძოლაში ინგლისელები ძლიერ დამარცხდენ: 9 აფიცერი დაჰრილია, 4—უკელოთ დაკარგული, 2—მოკლეული; ჯარის კაცთაგანი 17 დაჰრილია, ხოლო 596 დაკარგული.

ამნაირათ, როგორც მკითხველი ხედავს, ბულერის ახალმა ჯარმა ჯერ-ჯერობით ვერაფერი ნაყოფი გამოიტიანა. ღენერალი ბულერი 20,000 ჯარის კაცით ნატალში დგას და ჩრდილოეთისკენ აპირებს წასელოს ღედისმიტის გასათაეისუფლებლათ. უმთავერესი ძაღია ბურებისა (15,000—20,000) მდინარე ტუგელზეა გამაგრებული იმ განზრახვით, რომ ღენერალ ბულერს გზა შეუკრას და არ მისცეს ნება ღედის-სმიტში შესელისა, ამ უკანასკნელიდან კი რსეთი ამბები მოდის, რომ საეჭვოა ბულერმა, კიდეც რომ შეძლოს ტუგელზე გადასელა, ღედის-სმიტს ცოცხალს მიუსწროს. ღენერალი მეტუენი მდ. მოდერთან დგას და სურსათს და ახალ რაზმებს მოეღის ინგლისიდან. ღენერალი კრონიე თაეისი 500 ბურით გამაგრებულია სპორტრონტეინის მაღლობებზე მდ. მოდერის და კიმბერლეის შუა და განზრახვა აქეს მეტუენს გზა შეუკრას და ნება არ მისცეს კიმბერლეის გათაეისუფლებრისა.

ასეთია დღეს-დღეობით ინგლის-ტრანსეაალის ომის ვითარება. ამ მოკლე ხანში ორი უმთავერესი

ბრძოლა უნდა მოხდეს, ერთი მდ. ტუგელთან და მეორეც მდ. მოდერის და კიმბერლეის შუა. რალა თქმა უნდა, რომ ამ ორ ბრძოლას გადამწყეეტი მნიშვნელობა არა აქეს. ერთი დამარცხდება თუ მეორე, ბრძოლა მაინც გაგრძელდება. და ვინ იცის კიდევ რამდენ მსხვერპლს მოითხოვს! რათ დაჰრდა ან ერთს ან მეორეს ამდენი მსხვერპლის შეწირვა? რათ ააწიოკეს ქვე შევრდომთა ცოლ-შეილი? ნუ თუ არ შეიძლებაოდა, რომ სისხლ დაუღერელოთ შეთანხმებულიყვენ; უმსხვერპლოთ მორაგებულიყვენ? რალა თქმა უნდა, აქ ბრალი უმეტესათ ინგლისს ედება: მას როგორც დაწინაურებულ ერს, ყოველი საშუალება უნდა ენმარა გზა აეცეია იმეგარ ბარბროსულ ზომისთეის, როგორც ომი; მას, თუ გინდ ნახევარიც ვერ განეხორციელებია თაეისი მოთხოვნილება ბურების მიმართ, არასდროს და მიო უფრო პირველათ, ხმალი არ უნდა ამოეღო. ქარქაშიდან და საირათ არ უნდა გაწეულიყო. ამ შეცდომას ვერაერ ვერ აპატიეებს ინგლისს, ვერ აპატიეებს, როგორც მოწინაეე ერს, რ ბურებთან ომი ერთ დიდ ლაქათ დაჩეება მიეღ მას იატორიაში. რასაკვირეელია ჯერ კიდევ დრო აქეს ინგლისს შეაჩეროს ეს საზიზლარი სისხლის დერა, მაგრამ ვინ იკისრებს ამის ინიციატორობას? ვინ იკისრებს გლადსტონობას და 1891 წელსაე თ ვინ შეუთეღის ბურებს: შეაჩერეთ სისხლის დერა, შეუთრეღით ბურებს, ჩვენ დანაშაული ვართო! მაგრამ ინგლისს რომ დღეს გლადსტონი აღარა ჰყავს!

საშრანბმანი. უზენაეს სასამართლოს ჯერ არ დაუსრულეებია შეტეხულთა საქმის გამოძიება. ბრალდებულნი ყოველ ღონის ძიებას ხმარობენ რაც შეიძლება მეტ ხანს გასტანოს გამოძიებამ და ამ მიზნის მისაღწევათ აღარაფრის წინაშე არ ჩერდებიან. წარმოუდგენელია რა უწესოება და უღისციპლინობა სუფევს სამსჯავროში! კითხულობ პარიყადან მოწერილ ამბებს ამ პროცესის შესახებ და არა გვეერა იქ მოთხოვნილი; აკვირდები შეტეხულთა საქციელს და გიკვირს, თუ რა ხალხს უკისრნია თრანგთა წინააღმდეგობა, რესპუბლიკის დამხობა. მაგრამ თაემჯდომარემ და პროკურორმა განაცხადეს, რომ ამას იქით ისინი არ მოითმენენ ბრალდებულისაგან ამგვარ უზრდელობა-უწესოებას და ყოველ ღონისძიებას იხმარენ მათ ასაღაგმაეათ. თუ დერუღედის და ბარილიეს დაღუსაღებამ და ბუეეს კრებიდან გაძეეებამ არ იმექმედა ბრალდებულთა და მათ მოწმეებზე, მსაჯულებს განზრახვა აქეთ სულ უკითხვაეათ დატოვეონ რაც ზედ-მეტი მოწმეა და ყოველი დაბრკოლების მიუხედაეათ იანერამდის დაასრულონ ეს პროცესი.

გარეშე სამინიტრო ბიუჯეტის გარჩევის დროს დეპუტატთა პალატაში დეღკასიემ სტყევა წარმოთქევა და სხვათა შორის აი რა თქევა: საფრა-

ნგემა მთელი თავისი ყურადღება უნდა მიაპყროს არა სამფლობელოს გაფართოვებას, არამედ იმას თუ როგორ შეირჩინოს და ხეირიანათ მოიხმაროს ის, რაც ეხლა ხელში აქვს. საერთოთ დელკასიეს სიტყვიდან ის დასკვნა შეუძლია კაცს გამოიყვანოს, რომ საფრანგეთი მოწადინებულია საერთაშორისო პოლიტიკაში მშვიდობიანობა დაცვას. მართალი გითხრათ ეს მშვიდობიანობა ყველაზე უფრო ესაჭიროება საფრანგეთს და აი რისთვის: მაშინ როცა სხვა სახელმწიფოებში წარმოება დიდ ნაბიჯს აკეთებს, საფრანგეთი უკან უკან მიდის; ამ უკანასკნელ წლებში უცხო ერის მეტოქეები აძვეებენ მას ზოგიერთ მეტათ მნიშვნელოვან ბაზრებიდან და სხვა-და-სხვა დარგის მისი ნაწარმოები ვეღარ ჰყოლობს ბაზარს საფრანგეთს გარეშე. შინაურ ბაზარშიც კი გაუჩნდნენ მეტოქეები. ამ გვარ პირობებში ჩაყენებულ საფრანგეთს, რაღა თქმა უნდა, საომრათ არა ცალიან და მთელი თავისი ენერგია წარმოების განვითარებას უნდა მოახმაროს.

მოცმა წელმა გაიარა და ლუარსაბებში ამ ხნის განმავლობაში ტარიელებთან, დიდებულიძეებთან და სალამთაძეებთან გადიქცენ. ჩვენიმა ცხოვრებამ ამ ხნის განმავლობაში საკმარისათ იცვალა ფერი, ლუარსაბმა კი რაღა ჰქნა? რა შეიძინა მისმა გონებამ და ზნეობამ? ლუარსაბი გონებრივით და ზნეობრივით ე. ი. სულიერი მხრით ძალიან დაბალ საფეხურზე დგას. მთელი მისი აზროვნება მხოლოდ კუჭის გარშემო ტრიალებს; პირუტყვისაგან მხოლოდ მით განირჩევა, რომ ლაპარაკი იცის. გაიარა ორმოცმა წელმა და ამ ხნის განმავლობაში ლუარსაბი არა თუ ვერ ამალღდა, უფრო დაეცა, უფრო დაშორდა ადამიანს; წინეთ თუ უფლებელი პირუტყვი იყო, დღეს მხეცათ გადიქცა. გონებრივით ტარიელი ლუარსაბზე მაღლა არა დგას: მის ერთათ ერთ საზრუნავსაც მხოლოდ პირუტყვეული სიამოვნება შეადგენს; შეიძლება, ლუარსაბივით ცრუმორწმუნე არ იყოს და გუგულის ჯობნებისათვის სამოთხეში შესვლას არ მოელოდეს. ზნეობრივით მან ლუარსაბზე უფრო დაიქვეითა: ლუარსაბს რწამდა, რომ მამაკაცი ბატონი იყო ქალთან შეღარებით, მაგრამ ქალიც ადამიანათ მიიჩნდა და არა მარტო ღინის მოსაკლავ ნივთათ; ტარიელი კი ქალში მხოლოდ თავის სიამოვნებას ეძებს; ტარიელმა იცის თავის პიროვნების დაცვა, როგორც მხეცმა, სპირიდონმა მას შეურაცყოფა მიიყენა და შელახული თავმოყვარეობა მით დაიკმაყოფიდა, რომ სპირიდონი ტალახში ამოსვარა. ლუარსაბი უმას ლახავს, მაგრამ ეს უფლება მას ჩვეულებამ და კანონმაც არგუნა; ტარიელი კი ჩადის ათასგვარ სისაძაგლეს და სენინდისის მხილებას ერთხელაც არ გაუფარუნებია მასში; პირიქით მას თავი მოწონს თავისი საზიზღარი მოქმედებით. ერთა სატყვეთ ზნეობრივი მხარე, რომელიც საუკეთესო სამკაულს შეადგენს ადამიანის ბუნებისას, ტარიელში სრულიად გადაშინჯებულია. აი როგორ განვითარდა ლუარსაბი ამ ორმოცი წლის განმავლობაში: გონებით წინ ვერ წავადა, ზნეობრივით უკან დაიწია. მაგრამ ტარიელი ხომ გამონაკლს არ შეადგენს ჩვენ ცხოვრებაში, ის დღევანდელი ფეოდალურა არისტოკრატის ტიპური წარმომადგენელია, და ნათლათ ამტკიცებს მისი გონებისა და ზნეობის სილატაკეს. ჩვენი არისტოკრატია გლენობასავით არც ბატონ-ყმობის დროს წარმოადგენდა ერთფროვან წოდებას, მაგრამ ბატონყმობის მოსპობასთან ერთათ არისტოკრატია, როგორც იურიდიული კლასი, მოიხპო და დღეს ნელ-ნელა ნაწილდება სხვა და სხვა სოციალურ კლასებათ. მხოლოდ ერთ ნაწილს ქანება კიდევ შეჩენია დღემდის, მაგრამ გონებრივით და ზნეობრივით თუ დაუწევია თორემ წინ ვერ წასულა. აი მხოლოდ



*
” ”

ეტა წათ მშობს დედმა,
მასწავლებელი მძინი;
გულს ჩამითესა გჭმობანი,
ცოქრამ, განგებინაი?..

—
ანუ წათ ვეჭრავი მიღამოს,
დასმულსა, ბნელეთიანსა;
— ვაწდსა დაძგუნასა, ფერმჭრათასა
და მოძმეს შავი დღიანსა?..

—
თუ სამკურნალო წამაღსა
ვეღარ მივაწვდი სწუელსა
და ვერ აკუბამ ენსა
მეტყუელსა, მუნჯათ ქცუელსა?..

ბ. ბოკუჩია.

ხალხის გულის მესაიდუმლოე.

(თხზულებები ეგ. ნინოშვილისა.)
(გაგზმულება *)

Иныхъ времянь, иныхъ картинъ
Проввижу я начало. ნეკრასოვი.
XI.

ფეოდალური არისტოკრატის ტიპი ჩვენ ლიტერატურაში პირველათ მესამოცე წლებში გაჩნდა ლუარსაბ თათქარიძის სახით. მას შემდეგ თითქმის ორ-

*) ის. „გაზეთი“ № 48

ეს ნაწილი წარმოადგენს დღევანდელ ფეოდალურ არისტოკრატის და მისი წარმომადგენელია ტარიელი. ტარიელისთანა პირები ქონებას მალე გაფლანგვენ ლოთობა-გარყენილებაში და ჩვენი ფეოდალური არისტოკრატია ნელ-ნელა დაღვეს სულს. ტარიელისთანა პირები მხოლოდ მენებელი წევრი არიან საზოგადოებისათვის. როდესაც ტარიელს ქონება გამოეცლება, გაღარიბება შეცვლის მის ცხოვრებას; და სოციალურ მდგომარეობას, ამასთან ერთად შეიცვლება მისი აღზრდაც, გამოფხიზლდება მისი გონება და ისიც სასარგებლო წევრად გადაიქცევა; რაც უნდა იყოს, მაზარალბელი მანც აღარ იქნება. არისტოკრატის დანარჩენმა ნაწილმა დიდი ხანია დაჰკარგა ფეოდალური ხასიათი და გადაგვარდა: ზოგი განათლებას დაეწაფა და ინტელიგენტთა რიგში მოექცა, ზოგიც გაპროლეტარიატების გზას დაადგა.

სოციალური პირობები, უსამართლობა, მენებელი ჩვეულებანი, უმეცრება, - აი რა ლუპავს ჩვენ გლენჯაკობას. ნინოშვილმა დაკანახა ხალხს იარები, ჩვენი მოვალეობა კი იმაში მდგომარეობს, რომ ამ იარების დაამებას და განკურნებას ხელი შევეუწყოთ. დროა, დაეანებოთ იმ ბევრს რწმენას თავი, ვითომც ჩვენ შეგვეძლოს ისტორიულ პროცესს გაუშუქლავდეთ და გლენჯები, რომლებიც გაპროლეტარიატების გზას დადგომან, ამ გზას აეცილოთ. დროა, დაეანებოთ ილიუზიებს თავი და შევიგნოთ, რომ აღამიანი ყოფილათ შემძლებელ არსებას არ წარმოადგენს, ის მეტად მცირე ძალ-ღონის პატრონია და უნდა ცდილობდეს, ეს მცირეოდენი ძალა წყლის ნაყვას კი არ მოანდომოს, არამედ ისე მოიხმაროს, რომ რაც შეიძლება მეტი ნაყოფი გამოაღებოს.


სოციალური ცხოვრების ჩვენი სურვილისამებრ გარდაქმნა თუ არ შეგვიძლია, სამაგიეროდ ჩვენ შეგვიძლია, გაუშუქლავდეთ უსამართლობას, მენებელ ჩვეულებებს, უფიცობს და კიდევ უნდა გაუშუქლავდეთ, გლენჯს თუ ვერ ეიხსნით გაპროლეტარიატებისაგან, სამაგიეროდ შეგვიძლია ეიხსნათ ის უსამართლობისაგან, უფიცობისაგან. მოაშორეთ ყოველივე ეს გლენჯს და მაშინ მისი ცხოვრება გაცილებით უმჯობესი იქნება, მისი ტანჯვა გაცილებით ნაკლები, ვიდრე დღეს არის.

XII

ამ წერილის მეორე თავში ჩვენ ვამბობდით, რომ პუბლიცისტისა და ბელეტრისტის ნიჭი ერთად იყო ნინოშვილში შეერთებული. ამ აზრს განმარტება ეჭირება. ზოგიერთი ნინოშვილის ახლო მეგობრები დარწმუნებული არიან, რომ ნინოშვილი პუბლიცისტად იყო დაბადებული, ის პუბლიცისტობისათვის ემზადებოდა, ბელეტრისტიკა კი მას არ იზიდავდა და, თუ წერდა, მხოლოდ იმიტომ რომ საპუბლიცისტო ასპარეზისათვის მზადებაში წერის წყურვილი მოეკლათ. ამგვარი აზრი მწერლობაშიც გა-

მოითქვა ნინოშვილის გარდაცვალების შემდეგ. რამდენათაც გავიგეთ, განსვენებულ ნინოშვილსაც პუბლიცისტური ასპარეზი უფრო იზიდავდა თურმე; ამ გვარათ იმასაც შემცდარი აზრი ჰქონდა შემდგარი თავის ნიჭის შესახებ და ზოგი თავისი მეგობარც შეცდომაში შეიყვანა. ნინოშვილი ღრმად უკვირდებოდა ცხოვრებას და კარგად ამჩნევდა ჩვენი ცხოვრების ცვლილებას. როგორც ნიჭიერმა აღამიანმა, მან კარგად იცოდა, რომ იმ დროს, როცა ცხოვრება ახალ ხანაში გადადის, როცა ძველი ინგრევა და მის ნანგრევებში ახალი ელემენტები იზადებიან, პუბლიცისტი უფრო საჭიროა და სასარგებლო, ვიდრე ბელეტრისტი; ამიტომ გასაოცარიც არ არის, თუ ნინოშვილს პუბლიცისტური აპარეზი უფრო იზიდავდა, ვიდრე ბელეტრისტი: ეს გარემოებაც მისი პატიოსანი და მუდგომელი ბუნებას დამამტკიცებელია. ნინოშვილს უნდოდა თავის თავში უფრო პუბლიცისტი ეხილა, ვიდრე ბელეტრისტი, მაგრამ მისი სამხატვრო ნიჭი იყო მხოლოდ ძლიერი, საპუბლიცისტო კი სუსტი. საპუბლიცისტო ნიჭი მას ჰქონდა იმდენათ, რამდენათაც ეს საჭირო არის თანამედროვე ბელეტრისტისათვის; პუბლიცისტური ალღოს საშუალებით მან შეიძლო ჩვენი ცხოვრების ამოკითხვა და ნიშნობლივი მოვლენების ამოცნობა; ხოლო ამ მოვლენების პუბლიცისტურ მსჯელობაში ჩამოსხმა მისი საქმე არ იყო, უსათუოდ სამხატვრო ფორმით უნდა შეემოსა; ეს იყო პუბლიცისტო მხატვარი და არა პუბლიცისტი პროზაიკი. პუბლიცისტური ნიჭი მხოლოდ კომპასი იყო მისი სამხატვრო ნიჭისათვის, მას მხოლოდ სურათებით შეეძლო იმის თქმა, რასაც პუბლიცისტი განყენებული აზროვნებით გეიხატავს. ნინოშვილში პუბლიცისტი ყოველთვის ემორჩილებოდა ბელეტრისტს და ის მოთხრობები, საცა პუბლიცისტმა ბელეტრისტის გადაძლევა მოიწადინა, მეტად ტენდენციური გამოვიდნენ და სამხატვრო ღირსებით დანარჩენ მის მოთხრობებს ჩამორჩებიან. ძვირათ შეხედებით მწერალს, რომელსაც ამდენი მიუკერძებლობა გამოეჩინოს თავის მოთხრობებში, რომელსაც ამდენათ დაევიწყებოდა საკუთარი თავი წერის დროს და ამდენათ წაეშალოს პირადი გრძობის ნიშნები თავის თხზულებებში, როგორც ნინოშვილმა. მას უზომოდ უყვარს გლენჯი, იტანჯება მისი ტანჯვით, გული ეთუთქება მისი უბედურებით, მაგრამ ყოველივე ეს მას არ უშლის, გლენჯის ღირსებასთან ერთად ნაკლულევიანებაც დაუფარავად დაგეიხატოს. ვისაც იმდენათ უყვარს გაჭირვებული და დაჩაგრული, როგორც ნინოშვილს, მას რასაკვირველია, არ შეუძლია, არ შეიძლოს და ზიზლით არ უყუროს ისეთ პირებს, როგორც მოსე მწერალი, დავით დროიძე, კოტე მამალაძე.

ი. გომიჭვილი.
(შემდეგი იქნება)



მადის სასახლე 1900 წ. გამეფებულზე პარადში.

ჭიქის სასახლე 1900 წ. გამოფენაზე პარიში.

1900 წ. გამოფენაზე სხვა „საკვირველებათა“ შორის იქნება აგრეთვე ჭიქის სასახლეც. სასახლე სიმალლით იქნება 15 საჟ. საძირკველი გრანიტისა ექნება; ათასგვარი ნაკადულები შეუწყვეტლათ დაწყებენ დენას ამ გრანიტის დიდ ქვებზე და შეუერთებენ თავის წყლებს დიდ ტბას, რომელშიაც მთლათ ერთიანათ გამოჩნდება შეენიერი სასახლე. სასახლესთან მისასვლელათ აშენებულია უშველებელი დერეფნები, შიგ სასახლეში კი რამდენიმე დიდი დარბაზია; ამ დარბაზებში ფართე ფანჯრებზე ძვირფასი ფარდებია ჩამოკიდებული. შუაგულ დიდ დარბაზში შუაში დაიდგება რგვალი დივანი, იატაკი კი მოფენილი იქნება შეენიერი ხალიჩით, რომელიც ადამიანს თვალს მოსტაცებს სხვა-და-სხვა ფერების სიცხოველით და მათი ერთმანეთთან საუცხოოთ შეხამებით. ჭიქის კედლებზე იქნება გამოხატული 5 პანორამა, რომლებიც წარმოადგენს დედამიწის ხუთ ნაწილს. ამ სასახლის გუმბათი დანდობილია თექვსმეტ წითელ ჭიქის სვეტზე, რომლებსაც თავები მოოქრული აქვს. გარედან, გუბათს ზევით, მოთავსებული იქნება ელექტრონას (მზის ასულის) ქანდაკება, რომელიც გლობუსზე იქნება დამდგარი და ხელში ლიფლიფა ეკავება. სასახლის გარშემო არის გაყვანილი გადახურული ჭიქის დერეფანი, რომელიც გუმბათსავით სვეტებზეა დანდობილი.

მთელი ეს უზარმაზარი შენობა, კედლებიდან, სახურავიდან, სვეტებიდან, დივანიდან და ქანდაკებიდან დაწყებული ხალიჩებამდის და ფარდებამდის შედგება სხვა-და-სხვა ფორმის და ფერის ჭიქისაგან. ხალიჩა შედგება ბროლის ფერადი პატარ-პატარა ნატეხებიდან, ჭიქის ფარდები კი გაკეთებულია ვენეციაში და წარმოადგენს ერთგვარ ჭიქის ქსოვილს, სხვა-და-სხვა ნაირი მათერობით და შეენებულს. ამ ფარდებს გარს ავლია გრძელ გრძელი ჭიქის მძივები. ათასგვარ ფერადებით, ჭიქის სხვა-და-სხვა ნაირი გამსჭვებობით, მრავალგვარათ გათლით და სხვ. ეს ჭიქის სასახლე მართლა რომ საკვირველებას წარმოადგენს; ვინც კი ამ სასახლეს საღამოთი დაინახავს, ელექტრონით შეენიერათ განათებულს, მას უსათუოთ არაბული ზღაპარები მოაგონდება და შიგ აწერილი საუცხოვო სასახლეები დაეხატება თვალწინ. რასაკვირველია, ამ სასახლის აშენების დროს ცოტა რკინაც იყო საჭირო, მაგრამ ყველაფერი, რაც კი რკინისგან არის გაკეთებული, ჭიქით არის ზევიდან გადახურული, ისე რომ სულ არ ჩანს. გრანიტის საძირკველში მრავალი გამოქვაბულია, რომლებიც დაშენებულია სტალაქტიტე-

ბით და სტალაგმიტებით, აგრეთვე ოქროს ფრთხილ ბრჭყვიანო ჭიქებით, იატაკი კი მოფენილია დიდი ოთხკუთხი გამსჭვერი ჭიქებით, რომლებშიაც ქვეით, ტბაში ათასნაირი თევზი და წყლის ცხოველები ჩანს.


ს ო ფ ლ ი ს ც ხ ო გ რ ე ბ ა .

(საფ. ნიკოლოზის გონებრივი მდგომარეობა.)

(დასასრული *)

სხლა დროა მიეუბრუნდეთ ნიკოლოზის ინტელიგენციას და მის ამბავს. ჩვენ ვთქვით წინეთ, რომ „სინდელის მომხრენი“ პირველათ სიტყვით ებრძოდნენ ინტელიგენციას და ბოლოს საქმითაც დაუწყეს მათ დევნა. მამასახლისმა ერთხელ შეკრიბა ყრილობა, წარუდგინა ათი კაცის სია და გამოუცხადა: ეს ათი კაცი, თქვენც იცით, რა კაცები არიან; ესენი არც მუშაობენ და არც სხვა რამეს აკეთებენ, დადიან უქმათ და მარტო წიგნს და ვაჭეთს კითხულობენო, ამას ვინლა „ჩივა“ ჩვენ, საზოგადოებას, გვლანძღვენო. (ვაჭეთით და სხვათი) თქვენ, ყრილობას შეგძლიათ ესენი დასაჯოთ და გაასწოროთო. როგორც ზემოთ არა ერთხელ ვთქვით საზოგადოებას ეს პირნი ისეთაც „ათვალწუნებული“ ჰყავდა და რაკი მამასახლისმა ასე წარმოუდგინა და გავლენიანმა პირებმაც „ჩაისძახა“, დაიწყეს ამ საქმეზე მსჯელობა უფრო აქოლით, ვინემ თავისით. მამასახლისს რომ უცებ „პრიგოვორი“ წარუდგინა ხელის მოსაწერათ, უმეტესობა ბრმათ ხელს მოაწერდა--და საზოგადოების „პრიგოვორს რა ძალა აქვს, ყველამ იცის მიუხედავათ მისი სიმართლ-სიტყუისა. მარა ამ პრიგოვორიდან იხსნა ეს პირნი რამდენიმე (2—3) კაცმა. ამათ მამასახლისს ასე უპასუხეს: ჩვენ ამ კაცების არაფერი ავ-კაცობა არ ვიცით, მართალია წიგნს და ვაჭეთს კითხულობენ, მარა აგენის ცუდი ლაპარაკი ან მ.კმედება არაფერი გვინახავსო, და მაგათ ჩვენ ვერაფერს ვერ გადაუწყვეტთ, და თქვენ, თუ რამე იცით მათი ავ-კაცობის, რაც გინდათ იგი უქენითო“. ამ სიტყვებმა მოიყვანა გონს საზოგადოება. და ერთხმათ უარი უთხრეს მამასახლისს ამ პირთა დასჯაზე. ამ დროდან უფრო გამწვავდა ბრძოლა. ატყდა სოფელში დიდი მითქმა-მოთქმა, და ვინც ინტელიგენციას გამოესარჩლებოდა; იმას ემუქრებოდნენ—„შენც იმ „ათი კაცი“-ს სიაში ჩვირიცხებიო“. როგორც ზემოთ ვთქვით, სინდელის მომხრეთა დასში


*) ის. „ქველი“ № 48.



ერიგენ გავლენიანი პირნი და ამათ ზოგ ინტელიგენტს პირადი შეურაცხყოფა მიაყენეს, აუკრძალეს მათ მამულში პირუტყვის ტარება, კაცებს სიარული, ყანის „დაღება“ და მათ პატივის მცემელ და მომხრე ოჯახებში მისვლა. გავლენიანმა პირებმა თვით ინტელიგენტებს რ მათ ოჯახებს აღარ აკმარეს დენა, იმ გეარს, რომელ გეარშიაც რომელიმე ინტელიგენტი იყო, მთლათ დევნიდნენ და უცხადებდნენ ან იგი (ინტელიგენტი) უნდა გყავდეთ მეზობლათ და ან მეო. ამ გარემოებაში შეაწუხა დაბალი ხალხი; ახლა ისინი წუხდნენ, ღრტყინაუდნენ, იცოდნენ ვინ იყო მართალი და ვინ მტყუანი, მარა რა ექნათ? დამოკიდებულნი რამდენიმეთ ეკონომიურათ და უმეტესათ ტრადიციულათ მონანი, გავლენიან პირებთან ვერაფერს ბედადნენ. თუ წინეთ ესენიც ცუდი თვალთ უყურებდნენ ინტელიგენციას, ახლა თითქმის, ამათ მიუღდნენ, რადგანაც დაინახეს რომ ისინი (ინტელიგენცია) იმდენათ დამნაშავე არაფერში იყვენ, როგორც მათ აბრალდებდნენ და დევნიდნენ „სიბნელის მომხრენი და გავლენიანი პირნი. ახლა დაბალი ხალხის უმცირესობა სიბრაღულის და თანაგრძნობის თვალთ უყურებდა ინტელიგენციას. მოგვხსენებათ რომ გაზ. „ივერიის“ მმართველ-გამკენი და მისი ამჟოლ-დამჟოლნი იმას ჰქადაგებენ, რომ ინტელიგენცია სოფელში წავიდეს: იქ არის „სამკალი მრავალი და მუშაკნი ძვირიო“. საქმე ის არის, რომ ჩვენი ყანები ჯერ არ არის „სამკალი“ სოფელში, არამედ ახალი ამოსული ჯეჯილია მხოლოთ. და ამ ჯეჯილს მოვლა, გაზრდა უნდა და არა მომკა, მართალი მხოლოთ ის არის, რომ სოფელში მუშაკი ძვირია, მარა კიდევ რომ იყოს, გააკეთებს კი რამეს? თვალსაჩინოს ვერაფერს. ამის მაგალითი ნიგოთის ინტელიგენცია და მისი მოქმედება. იქნება ვინმემ თქვას: ნიგოთის ინტელიგენციამ ბევრი მოინდომა, შორს წავ-დაო. სრულებითაც არა, და ეს ამ წერილიდანაც ჩანს. ის შეეხო წერილმან კითხვებს და ამშაიაც მას ინიციატორობა არ დაუჩემებია. კითხვა დაუყენებელი დაინახა და უნდოდა მხოლოთ ბეზიარა გაეწია. მარა ინტელიგენცია, როგორც ჩქარა, მოტყუვდა: ნამდვილი დრო ბავშვის დაბადებისა თურმე არ იყო, და დედა მხოლოთ „შენაწყენი“ ყოფილიყო და ამიტომ კენესოდა. და მის მშობიარობის სიძნელისა და ტკივილისაგან გათავისუფლების მსურველს, ზოლო დაუპატიჟებელ და უდროვოთ მოსულ ინტელიგენციას მაგარი წიხლებიც კი ჩაართვა სახეში. მამ ნუ თუ სოფელში არაფერი გაკეთდებაო, — წამოიძახებს გაბრაზებული „ტეტიათა მოტრფიადე“. ამაზე ჩვენ ასე მიუყვებთ: სოფელში დღეს შეიძლება წერა-კითხვის გავრცელება ხალხში საკვი-

რაო სკოლის საშუალებით, რჩევა დარიგება სკოლის დაარსების შესახებ იქ, სადაც სკოლა არ არსებობს, რჩევა-დარიგება და მონაწილეობის მიღება სამკითხველოს და სხვა-და-სხვა ამხანაგობების თუ სხვა საზოგადო დაწესებულების დაარსებაში და ბოლოს: ქველ-მოქმედური დახმარება საზოგადო და კერძო საქმეში. მომხადებელი და თხიზელი ადამიანი, რომელსაც უნდა რაიმე ახალი აზრი, მიმართულება შეიტანოს ცხოვრებაში, ამაზე ვერ შეჩერდება, ამას ვერ გაიხდის „ცხოვრების მიზნათ“. ამნაირათ ინტელიგენციის უმეტესობამ ამ ამბების შემდეგ მიატოვა სოფელი და მიმართა ქალაქებს, და ვინც დარჩა ჯერ, ისინიც მზათ არიან ქალაქისკენ გასამგზავრებლათ. დიპ, დეცმატებთ ჩვენ, — სოფელს დღეს ქალაქებთან შედარებით გონებრივათ, მიუხედავათ იმისა, რომ წინანდელთან შედარებით ძალიან წინ წავიდა, თხიზელ ადამიანისთვის მაინც ძინავს. არ ძინავს სოფელში მხოლოთ ბუნებას: ფრინველნი საამურათ ჭიკჭიკებენ, გორ-მინდვრები თვალ-წარმტაც სანახაობას წარმოადგენენ, ზაუხულის გადაწმენილი და მთვარიან ღამეში ცა შეენივრათ კაშკაშებს, რუ ჩხრიალებს და გრილი სიო ნელათ ბერავს და ყნოსვას გიტკობსთ, მარა ამისთვის არ ცალია თხიზელს და დღევანდელი ცხოვრების შემწმენდარე ადამიანს. მას უნდა მოქმედება, უნდა შეიძინოს თანამოაზრე და რაკი სოფელში რაც უნდა იმას ვეღარ პოულობს და ვეღარ აკეთებს, მიეშურება იქით, საითაც ყველა ამების მიღწევას მოვლის. და ამით ასრულებს თქმულებას: „საცა არა სჯობს გაცლა სჯობსო“.

სოფელი.



მ ო ლ ო დ ი ნ შ ი.
(მატარა ამბავი).
(დასასრული *)

არასკეობა იყო და ქ. ქ—ში აუარებელი ხალხი ჩამოსულიყო სოფლებიდან; ვის რა წამოვლო გასაყიდათ და ვის რა. ქუჩებში ხალხის და ხარ-ურმის სიმრავლისაგან ტვეა აღარ იყო. გაშმაგებული პოლიციელები ხან აქეთ მიერეკებოდნენ ხალხს და ხან იქით; სხვათა შორის მეურმეებს მიერეკებოდნენ ერთი

საქართველო
საზოგადოებრივი

მხრისკენ, რომელსაც „მაიდანს“ ეძახოდნ და
სადაც ათიოდე ურემი თუ დაეტეოდა. ოქრუაც, რა-
საკვირველია, უნდა დამორჩილებოდა ბრძანებას და
თაის შეშინი ურემი „მაიდნისკენ“ წაეყვანა, სადაც
უნდა ეყურყუტებია ვიდრე შეშას არ გაჰყიდდა. ვიწ-
რო ქუჩაში, რომელიც მაიდნისკენ მიდიოდა, და
სადაც ურემების სიმრავლე თქვევთი კაცოც ველარ
გაივლიდა, ოქრუამ შეშის მუშტარი იშოვა, იქაუ-
რივე მეპურე, რომელსაც ნახევარ ფასათ მიჰყიდ
შეშა, იმიტომ რომ მაიდანში ყურყუტი და მშვიერი
ხარების გზერება ეზარებოდა: ამასთანავე სავაჭროც
ჰქონდა— ბავშვების სახალათეები და წულები, და თუ
არ დაახქარებდა, უმცროსაც მოკლე დეკემბრის დღე
ამდენ დავიჯარაბაში ხელოდან გაუსხლტებოდა და
შუა გზაში დაუღამდებოდა. სწორეთიმ დროს, როცა
ოქრუა გაყიდულ შეშას ალაგებდა ურმიდან, „ხაბარ-
და“, გასმა მეეტლის ხმა. ოქრუამ მოჰკიდა ხარებს
ხელა და ურემს კიდისკენ მიწევა დაუწყო, რომ
ეტლდსთვის გზა დაეტალა; მარა, რასაკვირველია,
ურემის გზიდან უცბათ გადაყენება არ შეიძლებოდა,
მით უმეტეს, რომ ვიწრო ქუჩა, როგორც მოგახსენ-
ნეთ ურემებით იყო გაქედლილი.

ამ ბარძიკ-რყევაში ეტლმაც გაიქროლა. უე-
ცრათ ხარმა საცოდავთ დაიბღაღლა და ძირს
ჩაიკეცა. ეტლში მჯღომმა ბატონმა ერთი კი
გადმოიხედა ოქრუას ხარისკენ, რომლისთვისაც ეტ-
ლის ბორბალს წინა ფეხი მარლივიით გადაემტვრია,
ჯოჯობნეთურათ ჩაიღიმა და გასწია. ოქრუამ რომ
თაისი საკუთარი ხარი ფეხ-მომტვრეული დაინახა,
გაფითრებული ეცა...

ამ საერთო არეულობაში ოქრუას გამოუჩნდა
ერთი სიკრმით შეძენილი ქალაქელი „მეგობარი“.
ამან როგორც კი დაინახა, რომ ოქრუა მხარ გაკ-
რული მიჰყავთ, მიიძახა; „ნუ გეშინია, ოქრუა, შენ
ხარსა და ურეს მე ეუპატრონებ, შენ ჯავრი ნუ
გაქვსო“. — აბა შენ იცი და შენმა კაცოვამო, უპა-
სუხა ოქრუამ. მართლაც, „მეგობარი“ დატრიალდა,
— მივიდა მეპურესთან, რომელიც დარჩენილ შეშას
ალაგებდა თვისთვის, და შეშის ფასი თხოვა.

— რას ამბობ, კაცო! შეშის ფასი მეორეთ გა-
დავიხადო? ერთხელ ხომ ვიყიდე და!..

— შენ ის მეურმე აქ უპატრონო არ გეგონოს,
შეჰყვირა „მეგობარმა“, მის წინართმევს, იცოდე, არ
შეგაწევე!..

— თუ არ შემაწევე და — ჰა! ეს შენ წაილე და
სადღლათ გეყუფა, ამასთანავე მეპურემ „მეგობარს“,
ერთი კარკა მოხდილი პური გადმოუგდო. „მეგო-
ბარიც“ გაუშვდა, ამოიღო ჩოხის კალთაში პური და


მიუბრუნდა ფეხ-მოტეხილ ხარს, რომელსაც უკვე
თავს დატრიალებდა ყასაბი და სირბილ-სიძსუქნეს
უშინჯავდა. „მისაწონავი ხორცი გამოჰყვება და სხვა
არ ეარვავი“, თქვა ყასაბმა. უკანასკნელი მოუთრიგდა
„მეგობარს“ ჩალის ფასათ და გვარიანათ დააძღა ფეხ
მოტეხილ ხარს... ცალი ხარი და დაცლილი ურემი
კი „მეგობარმა“ შინ წაიყვანა შესანახავათ, სანამ ოქ-
რუას არ გამოუშვებდენ და ამ ვინმე „კანონიერი“
პატრონი არ გამოუჩნდებოდა.



შუალამე გადასული იყო. ოქრუას სახლის
მომქუარტლული კედლები შავათ იყურებოდნენ;
სხვენ დაწ მქვართლი ღომის თავთავსავთ ჩაი-
კიდებულყო. სადღაც ყურეში, პალაზე მიბმული
ძროხა იცოხნებოდა და თავს ცოხნით მყუდროებას
არღვევდა. კერს ძირში დედა კატა ცინდლებს
(კნუტებს) აწოვებდა და ალერსიანათ თავზე დაჰ-
კრუტუნებდა მათ. ოქრუას პატარაებს ტახტზე
უღარდელათ ეძინათ; ენ იცს, იქნებ საოცნებო
ხალათს და წულებს სიზმარში ხედავდენ და ესიყვა-
რულდებოდნენ. ხვარამზე კი ნახევრათ მიმქარალ ცეც-
ცელა პირს იჯდა და კელავ დრაჯობდა. ყოველ
ხმაურობაზე მას გული უფანცქალებდა, ოქრუას
მისეღა ეკონა, მარა საშინლათ ტყუედებოდა!.. ოქ-
რუას ასეთი არა ჩვეულებრივ დაგვიანება ხვარამზეს
გულს უწყლავდა, იგი გრძნობდა რაღაც საფათერა-
კოს, სახიფათოს და ხანდახან მისი ჩაცვინული თვა-
ლებიდან მდღლარე ცრემლი გადმოგორდებოდა ხოლ-
მე მს დამქვარ ლოყებზე. გათენებამ მოაწია, მაჰ-
ლებმა ყივილი გაახშირეს; ბუნების კანონმა თავისი
ჰქნა და ხვარამზე იქვე კერის პირში გაგორდა მისა-
ძინებლათ. ირაქრაქა დღის სინათლემ წელანელა
ჩამოდგა ფეხი ქვეყანაზე; სოფელი ამოძრავდა; ყუ-
რეში მ ბმულმა ძროხამ შეიღს ბოზი ხმით აუწყა
გათენება; საბუღრიდან წ წილები ამოფრინდენ და
კრუხმაც ქოთქოთი დაიწყო. ამ ხმაურობაზე ტახტზე
მიძინებულ პატარაებს გამოეღვიძათ და ბებია რომ
დაინახეს, გაოცდენ, რადგანაც იგი ამ დროს მიძინა-
რე და ისეც კერის ძირში არაოდეს არ უნახავთ.
მსწრაფლ ჩამოხტენ ტახტიდან და მიძინარეს ნძრევა
და ღერძება დაუწყეს. ბებიამ გაიშოშმანა, თვალები
გამოახილია და დაჭრილ ვეფხესავით ზეზე წამოხკა,
რადგანაც მზეს უკვე მოველო. საჩქაროთ დააპურა
საქონელი დაანთო ცეცხლი და ქოთნით ლობიო
ჩადგა. ბავშვები შინ დატოვა და თითონ კი ამბის
შესატყობათ გაიქცა მეზობლისას, რომელიც გუშინ
ოქრუასთან ერთათ ქალაქში წაიდა. მარა მეზობელ-
მა ვერაფერი ამბავი ვერ უთხრა, რადგანაც მას ოქ-
რუაზე აღრე მოესაქმა და შინ წამოაუღლიყო. დაღონე-

ბუღალტერული მითითებით მიაშურა მეორე მუხარბელს, მარა იმისა განაცხადებდა ნელსარიელი დაბრუნდა. მალე ოქრუას მოუსვლელიობის ამბავი მთელ სოფელს მოეფინა და ყველა დააფიქრა. ზოგი რას ამბობდა და ზოგი რას; მარა ვერც ერთს იერ წარმოედგინა ის, რაც ოქრუას შეემთხვა. ზოგი ამბობდენ, იქნებ გზაში ავთ გზდა და სადმე მოსახლისას მოიცადო; სხვანი ამბობდენ, იქნებ გზაში დააღამდა და რაიმე ფათერაკი შეემთხვა, ან ქაჯმა დაბეგვაო და სხვა ამბის შესატყობათ ამოიჩინა ორი ბიჭი, ერთი მათგანი ოქრუას ნათლული იყო და გასწიეს ქალაქისკენ. გზაში ყველას ჰკითხავდენ; ქალაქშიაც ყველა მეტყუენეს მიაკითხეს. მარა ვალაც სოფლელი გვერდად იყო, ვის რათ ეინტერესებოდა?.. იცოდენ მხოლოდ გუმბინდელი შემთხვევა. ხოლო ოქრუას ხარ-ურემი რა იქნა, არაინ იცოდა, სანამ თითონ ოქრუამ არ უთხრა თავის ძებნელებს, როცა იგი ბერი ხეწნის შემდეგ აჩვენეს მათ. ამათ ყოველი ყოფილი შეიტყეს ოქრუასავან. დაძმარებულები წავიდენ ოქრუას, მეგობრის* საძებრათ, რომ ის ცალი ხარი და ურემი გამოერთმიათ. ბევრ ძებნას შემდეგ ჰნახეს, როგორც იყო და ხარ ურემი ჰკითხეს. „მეგობარმა“ უთხრა: ჯერ ერთი, რომ არ ვიცი ვინა ხართ და ხარ ურემს ისე როგორ გაგატანთო და მეორეც ისა, კიდევ რომ გიცნობდეთ, ხარ-ურემის შესანახავი ქარა უნდა მომცეთ, თვარა ისე ვერ დაგანებებთ, რა ვქნა, აქ ქალაქა, ყველაფერი ფულზეა დამოკიდებული ურემმა რომ ადგილი მოიკავა, იმ ადგილის ქირაც მინდაო! ბევრ ლაპარაკსა და ფიცა-მტკიცეს შემდეგ ამათ დაჯერეს „მეგობარმა“, რომ ისინი იყვენ ოქრუას მუხარბლები და ერთი მათგანი ნათლულიც. „მეგობარმა“ აქას შემდეგ მოწმის თანადსწრებით მისცა მათ ცალი ხარი და ურემი; ხოლო გაყიდული ხარის ფასიდან მესამედი თითონ დაიჭრა ხარ-ურემის შესანახავი და სხვა საღაეიდირაბო ქირა ..

დ. თამაშვილი.



X კოპერნიკიდან დარვინამდე.


(გაღმკეთებული ჰქოფესონა ფიქტუის სტატიადას)

პ. სურგულაძის საგან. *)

სი გვართ, როცა რც ვხედავთ, სიცოცხლის შესახებ მეცნიერება არ ყოფილა იმ დროს სრულიად სუსტი. მაშინაც აღმოუჩინათ ბერი ისეთი რამ, რაც ადამიანს აციფრებს. ჩვენ აქ მხოლოდ ორი-

ოდე მაგალითი მოვიყვანეთ. თუმცა ასეთი აღმოჩენება ბლომათ იყო, მარა მაინც არ ყოფილა შექმნილი ერთი გარკვეული და მთელი წარმოდგენა. ყველა ეს აღმოჩენები რალაც არეულ-დარეული იყენ, მათ აკლდათ ერთსულოანობა, ერთ ძაფზე აცმა. ამავ დროს კი ადამიანის გონებაში იმდენათ გამაგრდა მიზნუური იდეა, იმას იმდენათ წყუროდა ორგანიზმის განვითარება წარმოედგინა, შევერთებია ყველა ეს ცოდნა, რომ ზოგიერთს ეს წყურელი სასოწარკვეთილებამა აკლებდა, ზოგიც თავის საშვილათ წვრილმან ფაქტების შესწავლას აყოლებდა გულს. ამნაირათ იყო საქმე მეორმოცდაათე წლებში. ამ დროსაც ნათლათ იყო გამოარკვეული მეცნიერებისათვის ის აზრი, რომ მტერის ნამცეცსაც არ შეუძლია მოძრაობაში მოვიდეს, შეუძლებელია მოხდეს რაიმე ცვლილება გინდ დედამიწისა, გინდ ცის სივრცეში, თუ იმას არ ექნება შესადარი მიზნები, თუ ამ მოვლენაზე არ დახარჯება მისი შესაფერი, ეკვივალენტური ძალა. ურთულესი მექანიზმი ცოცხალი არსებისა ისიც კი უნდა ეორჩილებოდეს მიზნურ კანონს ყოველ თავის მოქმედებაში. მარა როგორ განვითარდენ, გაჩნდენ ეს ამდენათ რთული, ზომიერთ აკებული, თვითმმართველი მაშინები, ეს სრულიად ვერ ახსნათ. ამათი გაჩენის ასახსნელათ თითქო საჭირო იყო, რომ საზოგადო მიზნური კავშირა, რომელიც ყველა ქვეყნიერ მოვლენათ აკავშირებს, ვარდევულიყო და ჩარეოდა რალაც არა ბუნებრივი ძალა. აგრონომი ათვალერეს მათობათა მოძრაობას მოკლე ხნის განმავლობაში, აღმოაჩინს მათ შორას არსებულ დამოკიდებულებას, იმ რაგს, რა რიგზედაც ეს მოვლენები ჩამწკრივებულა და ამ მოკლე ხნის დაკვრებებს შემწეობით შეუძლია დანამდვილებით გამოითვალოს, მაგალ., რა და რა დროს მოხდება მზის დაბნელება რამდენსამე ათას წელს შემდეგ ან და რა და რა დროს დაბნელებულა მზე რამდენიმე ათასა წლის წინეთ. ასევე მოიქცა გეოლოგია დედამიწის შესახებ. შეისწავლა დღევანდელი ვითარება დედამიწის ზედაპირისა და აქიდან დაგეინება მთელი სურათი იმისა, თუ რა ცვლილებები ხდებოდენ დედამიწაზე რამდენიმე ასი ათასი წლის განმავლობაში. ნაკვეც-ნაკვეცათ რომაა დედამიწიდან დაწყობალი, ეს იმას ნიშნავს, რომ ეს ნაკვეცი ეკთბაშათი არ ყოფილა გაჩენილი. ჯერ ერთი გაჩნდა, მერე მას გადაეფარა მეორე, რომელიც დააღვეა წყალმა, მერე მესამე და სხვ. თანაც ამ ნაკვეცებს შავ მოხვევებოდენ ის ცხარელები და მცენარეები, რომელნიც იმ დროს ცხოვრობდენ. მაშ რომ გაჩხრიკოთ ეს თუის ნაკვეცი, შიგ აღმოაჩენთ სხვა-და სხვა ორგანიზმის ნაშთებს. რამდენათ ნაკვეცი უფრო ქვეითაა

*) იხ. „კვბლი“, № 46



ღრმათაა, იმდენათ ღიდი ხნისაა. რამდენათ ღიდი ხნისაა, იმდენათ მარტივია ის ორგანიზმები, რომელთა ნაშთი მოყოლია ამ ნაკვეთში. ამ ნაირათ გეოლოგიას გადავშალა თვალწინ მთელი ისტორია. იმან აღმოაჩინა თუ როგორ იღებდა ცხოველი და მცენარე უფრო მარტივ, სადა აგებულობის მაგიერ რთულს, იცვლებოდენ, ვ-თარღებოდენ. სხვათა შორის ადამიანის ცხოვრებაშიაც აღმოჩნდა თანდათანობა. ეს ძუძუმწოვარი, რომელიც ცხოვრობდა ხეზე და რომლისაგან წარმოიშვა ადამიანი, განვითარდა სხვა ცხოველებზე უფრო გვიან, როგორც უფრო რთული არსება. ადამიანსაც ერთბაშით არ მიუღია, ის კულტურულად განძი, რომელიც დღეს აქვს. თავდაპირველათ იმას არ გააჩნდა არაერთი იარაღი. მისი იარაღი ის იყო, რაც ხელში მოჰყვებოდა. პირველი საფეხური ნამდვილი ადამიანობისა იწყება მაშინ, როცა ადამიანი შეუდგა იარაღის კეთებას და თან ტარებას. ამ იარაღებს მიხედვით ადამიანის წარსული დაყოფილია სამ უმთავრეს ხანათ. პირველი ხანა არის ქვის ხანა. ასეთი სახელი იმიტომ ჰქვია, რომ ამ დროს ადამიანი იარაღს ქვისას იკეთებს; ან პოულობს წაწვეთებულ ქვებს, ან თითონ ამტვრევს კაყებს და აწვეთანებს. მეორე მიაკრავს ტარზე და ამ ნაირათ იჩენს ქვის დანას, ცუღს, სახნისს. მეორე ხანა არის ბრინჯაოს და სპილენძის ხანა, როცა იმან ისე წაიწია წინ, რომ ბრინჯაოსაგან დაიწყო იარაღის კეთება. მესამე და უკანასკნელი ხანა არის რკინის ხანა, როცა ადამიანი იმდენათ გაძლიერდა ცოდნით და მოხერხებით, რომ ეს უმაგრესი ლითონიც გამოიყენა.

რა მიზეზი იყო, რომლის ძალითაც ორგანიზმები რთულდებოდენ, განიცდიდენ სხვადასხვა ცვლილებათა და გადადიოდენ განვითარების ერთ საფეხურიდან მეორეზე? ამ კითხვაზე მაშინ ვასუხს ვერ მიიღებდით. მაშინ ისე ჰქონდათ წარმოდგენილი, რომ ქვეყანა ორ რიგათაა გაყოფილი: ერთი მხრით უსუსულო, მეორე მხრით სულიერი. ცოცხალ-არსებათა განვითარება სულ რაღაც უცნობ კანონებს ემორჩილება, რომლის ახსნა ვაგება ადამიანს არ შეუძლია. უნდა გამოარკვეულიყო, ემორჩილება თუ არა საზოგადო მიზეზურ კანონებს ორგანიული ცხოვრებაც. ყოველ მეცნიერების დარგში მთელმა, ერთიანმა მონისტიკურმა ახსნამ ბუნებისა დიდი ბიჯი წადგა. ახლა გადასაწყვეტი იყო, შესაძლოა თუ არა ეს მონიზმი, ეს ერთიანობა დაედევას საჩიურლათ მთელ ჩვენ აზროვნებას, ქვეყნის წარმოდგენას.


სწორეთ ამ დროს, 1859 წელს ნოემბერში, დაიბეჭდა ჩარლზ დარვინის წიგნი ასეთი სათა-

ურით: „როგორ წარმოიშობა გვარეულობა ბუნებრივი შერჩევით ანუ როგორ იცავს თავს ის გვარეულობა, რომელიც უფრო მოწყობილია არსებობისთვის ბრძოლაში“. დარვინმა თავისი თეორია დააფუძნა უკვე ცნობილ ფაქტებზე. ეს ფაქტები დიდი ხანია ცნობილი იყო, ის კი არა, ამ ფაქტებით სარგებლობდენ, რომ დამტკიცებიათ სულ დარვინის წინააღმდეგი აზრი. რით და აიხსნება ის მოვლენა, რომ მიუხედავად მედგარი წინააღმდეგობისა ეს თეორია გავრცელდა წარმოუდგენელი სისწრაფით, რომ უკვე მესამოცე წლების გასულს უგანათლებულესი ქვეყნის — გერმანიის პროფესორთა და მეცნიერთა უმეტესი ნაწილი ხეპირათ და წერილობით იცავდა მას. მეორე მხრით საეჭვოა, რომ ამ წიგნის შემდეგ გამოსულიყოს თუნდ ერთი ყურადღების ღირსი მეცნიერული შრომა, რომელიც არ იდგეს ამ თეორიის ნიადაგზე, არ ცდილობდეს, რომ ამ თეორიას გაუფართოვოს კალთები, გამოიყენოს მეცნიერების ყოველ დარგში. დღეს ხომ დარვინის აზრები იმდენათ საგაღდებულო და აუცილებელია ყოველი სამეცნიერო მსჯელობისათვის, როგორც ვოპერნიკის, ნიუტონის და ლაიბლისა. რატომაა ყველა ეს?

ადვილი ასახსნელია. იმიტომ რომ დარვინმა დამოუკიდებლათ, პირდაპირ განაგრძო და დაასრულა ის საქმე, რომელიც დაიწყო ვოპერნიკმა, ნიუტონმა, ლაიბლმა. დარვინმა დააგვირგვინა ის შენობა, რომლის კედლები ამ მეცნიერებმა ამოიყვანეს, მან აყვანა დიდი გუმბათი, რომელსაც ვერაფერს დააკლებს არა თუ უმეცრების კბილის კრეჭა, არამედ წრე გადასული სარწმუნოებრივი ფანატისკოსობის ქარცეცხლაც. *ამაზე ქვეყნის მისი*

დარვინის თეორია შეიძლება მოკლეთ გამოითქვას შემდეგ კანონებში.

1. ყველა მაღალი აგებულობის ცხოველი და მცენარე წარმოიშვა პირველ-ყოფილ, სადა ფორმებიდან, რომელთა რაცხვი ბევრი არაა, ცოტაა. ამ პირველ ყოფილი ცხოველებიდან მცირე რიცხვმა თითქმის უცვლელათ შეინახა თავი დღევანდლამდის. უფრო ხშირათ კი ეს შთამომავლობა უთვალავ თაობაში თანდათან იცვლებოდა, იძენდა უფრო რთულ მაღალ აგებულობას, ორგანიზაციას. ამ ნაირათ ცოცხალი არსებები შეკავშირებული არიან ნათესავეური კავშირით. თვალსაჩინოთ თუ გინდათ დაასურათოთ ეს მოვლენა, წარმოიდგინეთ ერთი დიდი ტანის ხე, რომელიც აღნიშნავს, რომ ყოველი ცოცხალი არსება წარმომდგარია უსუსულო ბუნებისაგან. ამ ხეს აქვს სხვილი, მარა მოკლე ტანი, რომელიც შემდეგ იყოფა ორ დიდ ტოტებათ: ერთი ტოტი წარმოადგენს მცენარეულობას, მეორე ცხოველებს. შემ-



დღეს ეს ტოტებიც თავის მხრივ დაიყოფიან დიდ-დიდ-ტოტებათ, რომელნიც უღრიან კლასებს, ცხოველთა გინდა მცენარეთა სამეფოში. ეს თეორია ანუ ეგრეთ წოდებული სწავლა წარმოშობაზე არის საზოგადო მოსაზრება, რომელიც დარეინამდისაც გამოუთქვამთ, მარა მის მეტს არაფერს დაუსაბუთებია, დაუმტკიცებია.

2) დარეინი ამ მოსაზრებას იმით ამტკიცებს, რომ მოჰყავს უკვე ცნობილი ფაქტები, რომელიც მას ისე აქვს დალაგებული და წარმოდგენილი, როგორც ესაა ბუნებაში. როგორაა ბუნებაში? ყოველი ცხოველი თავის არსებობაში ემორჩილება გარეშე პირობებს. ეს პირობებია: ჰაერა, საჭმელი და ორგანიზული პირობები. დედამიწაზე ჰაერა ყოველთვის ერთნაირი როდი ყოფილა, არც სხვა-და-სხვა ადგილსაა ერთნაირი. დღეს თუ ცხოველი, ვთქვათ, მთაზე ცხოვრებს, ხეალ ძირს დაეშვება, იქ ადგილი სხვანაირათაა მოწყობილი. გარდა ამისა ყოველი ორგანიზული არსება ასე თუ ისე დამოკიდებულია მეორე არსებისაგან. დამოკიდებულება შეიძლება იყოს ორ ნაირი: ან ერთი ორგანიზული არსება მეორესთვის არის მანუ, მოწინააღმდეგე, ან და მისი ხელის ხელმწიბი. მოწინააღმდეგე შეიძლება იყოს ორ ნაირი. ან მტერი, ესე იგი ისეთი ცხოველი, რომელიც მეორეს ჰამს, ან და მეტოქე, როცა ორი ცხოველი ერთ და იმავე საკვებადით საზრდოობს, ერთ და იგივე პირობებში საჭიროებს. მაშ გადმოდის, რომ ხშირათ ორგანიზულ არსებათა ინტერესები ერთმანეთს ეწინააღმდეგებიან; ერთის სიცოცხლე მეორის შევიწროებაა, მეორის სიკვდილია. ერთი მეორეს ებრძვის, რომ სიცოცხლე დაიკავს. ამ პროცესს ჰქვია ბრძოლა არსებობისთვის. ეს ბრძოლა კიდევ უფრო ძლიერდება, წვედდება იმის გამო, რომ საზოგადოთ ორგანიზული არსება მეტათ ჩქარა მრავლდება, მაგრამ ბრძოლა არსებობისთვის ფრთებს ჰკვეცს ამ გამრავლებას.

X (შემდეგი იქნება)

წერილები რედაქციის მიმართ.

I.

ბ-ნო რედაქტორო! გაზ. „კვალის“ ამ წლის 33 №-ში დაბეჭდილია წერილი აფხაზეთიდან, სულმოწერილი ვინმე „ბ-ლიოს“ მიერ. რადგან ამ წერილში აღნიშნული ფაქტები სინამდვილეზე ძალიან დაშორებულია, ამისათვის გთხოვთ ჰქმნარიტების აღსადგენათ, ჩემ წერილსაც ადგილი დაუთმეთ თქვენ გაზეთში.

ბ-ნი 3-ლიო იერემისკურ ჰგოლებს და ვიშვიშებს, საწყალ მეგრელებს რატომ უბრალო ჯარგვლები და ქოხები უდგასთ და ანა ოდები, შეკინკრათ მოწყობილ-მომართულიო! ჩვენ სრულიად თანაუგებნობთ ბ-ნი 3-ლიოს! ჩვენ იმაზე ნაკლებ ან გვინდა, რომ ჩვენი


საღსას ცხოვრებას დუღდეს და გავმდინოდეს, მთ კა-რმიდამოში ღვთის თვალი ტრიალებდეს, ჩიტის რისი მეტი ანა ავდესთ რა! მაგრამ... მაგარიც ის გასწავსთ ჩემო ბ-ნო 3-ლიო, რომ ჩვენ ნაცოცხალ-სურვილს ფრთა უნდა შევაკვირეთ, თვალი ვინდავირ უნდა გავუწეროთ სინამდვილეს, სუბიდიდ-სენაკის მხრის უმიწაყლოებით გაჭირებულ მცხოვრებთა ყოფა-ცხოვრებას... როგორც თქვენც უნდა იცოდეთ, ვარჩევა და პაბუშაში მცხოვრები იჯარადრები აჩიან თავადი გ. შარვაშიძის, დედუბული ვადა აქვსთ ვინაობის ძალით აქ ცხოვრების და მძუღით სარგებლობისა, და ამ ვადის შემდეგ შეუძლიათ განასწავონ ვინაობა და ისევე დაჩვენ მძუღსე, თუ ანა და თავისუფლნი აჩიან. რა თქმა უნდა რაკი დროებით ცხოვრებენ, სასალებიც დროებითი აქვთ, რომლებიც ვინაობის მე 8 წ ძალით შემდეგ მძამუღის საკუთრებათ რჩება; შეუძლიათ წაიღონ მხლოთ ის სე-ტეე, რაც თითონ აქვთ მოტანილია სსკანინდან. რა თქმა უნდა მკვიდრ და მკვირფას სასალების კეთება არც ანგარიშაა დროებით მცხოვრებ მოიჯარადრთა მხრივ, და არც ქოხება აქვსთ სელს ისეთ საღსას, რომელსაც სამეგრელოდან რაჩიელი სულისა და მკლავის მეტი ანა მ აჭულო-ლიარა. ასლა მე თქვენა გითხავთ, რა ბრადი აქვს ან მუამუღეს თავად შარვაშიძის ან მის მოურავს. თქვენ უმოწინააღმდეგე მონა-მოსამხსურეს, რომ საწყალ მოი-ჯარადრე მეგრელებს ბუნრანი ოდები და სსკ-სასალები ბი უდგასთ!..

ჩვენში საცა მძუღის შემუშავებულ მოიჯარადრეს ფუღათ არ ანდვირებენ მიწის ქიანს, „სამეოთხედოთ“ ურავლებიან. მეოთხედი უნდა აიღოს ყოველი მოსაგ-ლისა მძუღის ვატრანმა. ჩვენც ასე ვიქვეით ჩვენი ვინაობის მე 4 მუსლის მისეღვით. ეს არ მოსწონს, როგორცა ჩანს, ბ-ნი 3-ლიოს, მის დღეგრკელობას, ჩვენ არ ვიცით და ერთი თვითონ გვიბრძანოს, რომელი მუამუღე იმეფა მძუღს მამზე უფრო შეღავათიანი ვინაობით, მაშინ ჩვენც თითს მო-კვაკვათ.

ბ-ნი 3-ლიო ჩივის: ურემ ჩაღსში მანეთს ანდვი-რებებს გლეხს მოურავიო. საკვირველია, დემეტრანია! ურემი ჩაღს გლეხმა რომ გაჭყიდოს, ვკვლავ დიდი სიამოვნებით მისცემს 3 მანეთს, ე. ი. მებატონესაც გაუს-წოდებებს და ორი მანეთი მოგებაც დაჩება! თქვენ ღსენას, ერთი მიბრძანეთ, იხარება გლეხი ამ შემთსე-ვაში, თუ არა?

დრტვირავს ბ-ნი 3-ლიო: თ-ლი შარვაშიძე უღელ-გამქის საბაღსაში თორმეტი მანეთს ანდვირებს გლე-ხსაო თუმცა ვინაობის 7 მუსლის ძალით გლეხს მხლო-ლოთ ათი სული საქონლის მოკვების ნება აქვს და ზედ მეტი ვი უღელი უნდაგვამდლოს, მაგრამ მიგსუდავით ამი-საკე ჩვენ საჯაროთ დავუმტკიცებთ, რომ მუამუღეს გროში ვაპიკი არ აუღია ამ რცი წლის განმავლობაში გარკვევებულ და გასამეგრებულ საქონლის რიცხვაში.

ბ-ნი 3-ლიოს უკვირს, გლეხს რამე პაიიკე ნამუ-



შეჯარი სიმინდი მოუძოვოს საქონელმა და მუხრანემ.
 „მარჯობა“ მიუსწროს, ჯარმას სდევინესო. უნების
 მთკაფურეთი არან სოფელთაგანვე არჩეული ნაფი-
 ცნი მუკლანი, რაქუნინე უნაში მსკულ საქონელს
 იტყვიან, ზარდას სოფლის კითხისინადისი, რა მკაფას-
 ბინებენ და დაჯდებენ უნის ბატრონს გადახალის მასი
 ნაწილიდან უნის ადობის დროს მ. ბატრონის სასარგებლოთ,
 მოუძვივდეს უნაფი სდობა სოფელს კითხისინი
 დისიერი განხენისა. სწორეთ არ გვესმის, სად არის
 აქ მდებარეობა ან უსამართლობა?

ბ.ნი 3 ლიონ ცას და ქვეყანას შეჭდალაფეს, საწ-
 ვად გლერებს შარკაშიდის მამულის უიდავ ჰსურსთ
 მარკამ მოუწვს (ი. ი. მ.) ვითამ მუთკვას ქვეყანა 200
 მანეთი რომ მამუკით, მინც არ მოუყიდით ბ.ნი
 3 ლიონ ცრტა სერბოზ უფათ რომ მოჭკიდებოდა თავის
 წყრილს, ასეთი თკა-სახინო და შეუნდობელი შეცდო-
 არ მოუყიდოდა. აფხაზეთში უკვლავ იცის, რომ თ. გ.
 შარკაშიდის მამული სამიოტოტო, ი. ი. გაიდავ არ შეუ-
 ძლია მის მეს და მომავალს, თვინიერ იფარათ გაცემისა.
 სრული ცილის წამება, ბ.ნი 3 ლიონ თქვენი
 მხრით იმის თქმა, ვითამც ამ მამულიდან ვინმე ქვერ-
 —ობელი რადისე აუაროს კაცს. დაგვი ასეულოს ბ.ნი
 3 ლიონ თქვდ ერთი ობოლი გაგდებოვი და ღვთის
 ამართ დატოვებული თ. გ. შარკაშიდის მამულიდან. მა-
 შინ ვირევეთ: ცათმავე მართალია ბ.ნი 3 ლიონო!..
 მანამდე გი..

თავად გ. დ. შარკაშიდის აფხაზეთის მამულის
 მოუძრავი მანაილ ბ. თოფურია.

II.

ამის წინეი ერთ ჩემთან უცნობ ტრაფონ ბაკაშვი-
 ლისაგას, რომელსაც დაუსრულებია ქუთაისის „სამეურნეო“
 სასწავლებელი წყრილი მივიდე, რაქუნინე მთხოვდა:
 ჭიათურაში ხელის მოწებით იქნება გზის ფული შემი-
 გროვო, რ დგანც უძღვეს სასწავლებელში ვამბრებ წ-
 სვლას და უფულობა ხელს მიშლისო. ამისთანა წვერლები
 სხვა მოსწავლეების განც მთკვადის სოფლმე და ამიტომ მარ-
 თალია ბეკრა ვერფრე ვარგუნე საკუთრად მ., მ გრემ
 კითხილი გუფით მოძღვნილი მცირედიც შეიწირება „ო.
 ნათქვამი და მეც რამდენიმე მანეთი სხენებულ ბაკაშვი-
 ლისთვისაც გადავდე და ის იყო უნდა გავეზავნა გი-
 დეც, რომ ამ დროს ჭიათურაში ბ.ნი 3. არაშიმე მოჭკე-
 ქეთ. საზოგ დრამატ. დასს და ამ არაშიმემ მითხრა: ტრი-
 ფონს მე უნდა გავუზავნო ფული და გადმომეცი ერ-
 თათ გავუზავნიო, მეც გადავეცი და მას შემდეგ გადას
 თითქმის სამი იკე, მარკამ ეს ფული არაშოისაგან, ბაკ-
 კაშვილს ვერ გადავცე არ მიუღია!..

ამნიერთ ბაკაშვილი უცდის თურმე ფულს და სა-
 დამდის უნდა უკადოს არ ვიცი. ამ მოკლე ხანში, არა-
 შიმეს წყრილი მივეწერე და ვთხოვე ხსენებულა ფული,
 რაქუნინე ბაკაშვილის გადასცემით მიიღო ისევე უკან
 დაუბრუნებია და მე თითონ გა. გზავნიდი, მ. გრემ მსკ-
 ლის დიწისც არ გამსადა. შემოწინებულთა რომ გტკვი არ
 აიღონ ჩემ საქვილზე, იმუღებოლი შევიქენ ეს ამ ავი
 გამომეძღვანებია გასკეთის სასწავლებლით და ამით ცილის
 წამება აქტილებინა თვადან.

ს - რე საბუღიანი.

საქველ-მოქმედო საქმე

ქ-ნო რედაქტორო! ნება მიბოძეთ ჟურნალი „კვა-
 ლის“ საშუალებით უღრმესა მადლობა გამოუყუხადო
 ქვემო მოყვანილ პირთ, რომელთაც კითხილ ინებეს
 და ფულით შემწეობა მომცეს ერთი ლარობი სტუ-
 დენტი X-ის სასარგებლოთ: ხუთ ხუთი მან. კ. წუ-
 ლუკიძემ, ნ. ქვარიანმა, სამსამი მან. კნ. მატრონა წე-
 რეთლისამ. მიხეილ ლორთქიფანიძემ ორ ორი მან.
 კნ. ნიცა წერეთლისამ, კნ. სად. წერეთლისამ კნ. ელ.
 წერეთლისამ კნ. მ. წერეთლისამ, ბ—მა ფ. მგალო-
 ბლიშვილმა და ილ. გამკრელიძემ. თითო მან. კნ.
 ტერ. წერეთლისამ, ნ. აბაშიძისამ, მარ. წერეთლისამ,
 კნ. დვსა წერეთლისამ, კნ. გიკა წერეთელმა, გ. წე-
 რეთელმა, ვანიქა წერეთელმა, ლ-მ., გრ. კვიტაშვი-
 ლმა, ყ. ჩხეიძემ და ფ. ქავთარაძემ.

იფრასინე წულუკიძისა.

ქ-ნო რედაქტორო! უმოზრჩილესათ გთხოვთ
 თქვენი პატივცემული გაზეთი „კვალის“ საშუალებით
 უაულოთადესი მადლობა გამოუყუხადოთ დ. ლანჩ-
 ხუთში ქალ. ნად. იოსელიანს და ქალაქ სოხუმს
 პეფე კალანდარაშვილს, რომლებმაც ჩემდა სასარ-
 გებლოთ მოაგროვეს და გადმომცეს პირველმა 25 მ.
 და მეორემ 24 მ. აკრეთვე დად მადლობას ეუძღვნე
 უუალ შემომწირველთ.

შეტკებურდი

გ. შავდას.

ქ-ნო რედაქტორო! უმოზრჩილესათ გთხოვთ
 თქვენი პატივცემული გაზეთი „კვალის“ საშუალებით
 მადლობა გამოუყუხადოთ ქვემო დასახლებულ პირებს,
 რომლებმაც კეთილ ინებეს და შემოწირეს ძიმითის სა-
 ხალხო ბიბლიოთეკას წივნები და ფული: ძიმითის
 ორკლასიანი სასწავლებლის ზედამხედველს ილ გუნ-
 ჯაძეს, ყაისარ ხელაძეს და სოფლის მასწავლებელს
 დ. ერქომაიშვილს.

სამკათსკეელს გამკე ველ, ღობამე.

„კვალის“ ფოსტა.

ბ. ივანე რესტომაშვილს. თქვენი წერილი არ
 დაიბეჭდებო, რადგან, ერთი მხრით, ის, რაც „არა
 ინტელიგენტ-სთვის“ უნდა ვეთქვათ „შუამავლის“
 კრებაზევე, მხოლოდ დღეს გინდათ თქვათ; და
 მეორე მხრით, „კვ. კვ.“-ში მოყვანილი სიტყვების
 სიმართლეს თქვენი წერილიც ამოწმებს. რედაქცია
 კისრულაობს გამოაცხადოს მხოლოდ ის, რომ თქვენ
 ამ ამხანაგობის არც გამგეობას და არც კონტროლის
 წევრათ არ ყოვილხართ.

რედაქტორ-გამომცემელი ან. თ.-წერეთლისა.